

საქართველოს სახალხო დამცველი

COVID-19 პანდემიის გავლენა  
კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა  
და გოგოებზე

სპეციალური ანგარიში



კვლევა განხორციელებულია საქართველოს სახალხო დამწველის აპარატის მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „კონფლიქტით დაზარალებული ქალების და გოგონების შესაძლებლობების გაფართოება და მათი სოციალურ-ეკონომიკური პერსპექტივების გაუმჯობესება COVID 19-ის კრიზისის პერიოდში“ ფარგლებში. ამ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისებურია და შეიძლება არ წარმოადგენდეს UNDP-ის შეხედულებებს.

კვლევის ავტორი: ანა ილურიძე

2021



# შინაარსი

<b>შესავალი</b>	<b>2</b>
<b>1. მეთოდოლოგია</b>	<b>5</b>
1.1 კვლევის მიზანი	5
1.2 კვლევის ფარგლები და შეზღუდვები	5
<b>2. პანდემიის გენდერული ასპექტები</b>	<b>7</b>
<b>3. კვლევის თეორიული ჩარჩო</b>	<b>10</b>
<b>4. კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა და გოგონათა უფლებრივი მდგომარეობა: პანდემიამდე არსებული მდგომარეობის შეფასება</b>	<b>12</b>
<b>5. პანდემიის გენდერული გავლენების შეფასება: რისკების ანალიზი</b>	<b>15</b>
5.1 პოლიტიკური რისკები	15
5.2 ეკონომიკური რისკები	15
5.3 ჯანდაცვის რისკები	16
5.4 ინფორმირებულობასა და მისაწვდომობასთან დაკავშირებული რისკები	17
5.5 გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული რისკები	18
<b>6. კვლევის მიგნებები</b>	<b>20</b>
6.1 სრულფასოვანი ჩართულობა სამშვიდობო და უსაფრთხოების რისკების მართვის, პრევენციისა და რეპარაციის პროცესებში	20
6.2 ქალთა ეკონომიკური მონაწილეობა	22
6.3 ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა	23
6.3.1 ოჯახში და ქალის მიმართ, პანდემიასთან დაკავშირებული ძალადობის ფორმები	25
6.4 ინფორმირებულობა და საჯარო სერვისებზე მისაწვდომობა	26
6.5 მისაწვდომობა ჯანდაცვის სერვისებზე, მათ შორის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე;	27
<b>7. რეკომენდაციები გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის შემუშავებისათვის</b>	<b>29</b>

## შესავალი

2020 წელი, ქალების უსაფრთხოებისა და მშვიდობის საკითხების მნიშვნელობისა და ანალიზისათვის მნიშვნელოვანი იყო, რადგან 20 წელი შესრულდა, მას შემდეგ, რაც გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1325<sup>1</sup> რომლის მიხედვითაც, ქალები გლობალური უსაფრთხოებისა და სამშვიდობო პოლიტიკის წინა ხაზზე დგანან.

აღნიშნული რეზოლუცია, მისი თანმდევი რეზოლუციები<sup>2</sup> და მათგან გამომდინარე ეროვნული სამოქმედო გეგმები, სხვადასხვა ქვეყანაში (და მათ შორის, საქართველოშიც, 2011 წლიდან)<sup>3</sup> დიპლომატიურ და განვითარების სტრატეგიებში ქალთა აქტივიზმისა და ქალთა საკითხების ადვოკატირების მნიშვნელობას უსვამს ხაზს, ითხოვს კონფლიქტით გამომწვეული კრიზისების გენდერულ ანალიზს და მოუწოდებს სახელმწიფოებს, დაგეგმონ და განახორციელონ პროგრამები, კონფლიქტით დაზარალებული ქალების საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რათა, შესაძლებელი გახდეს ქალების სისტემური ჩართვა სამშვიდობო პროცესებსა და მოლაპარაკებებში, ძალადობრივი კონფლიქტების გადაფასება, ხელახალი სახელდება და სამშვიდობო პოლიტიკის წარმართვა ქალთა პერსპექტივიდან.

2020 წელს, უსაფრთხოების თემა მსოფლიო ყურადღების ქვეშ მოექცა, თუმცა, დღის წესრიგში ამ საკითხის ცენტრალურობა განპირობებული იყო, არა იმდენად „რეზოლუცია 1325“-ის შედეგების ანალიზით, არამედ, ახალი კორონავირუსით გამომწვეული მსოფლიო პანდემიით<sup>4</sup>. სპეციფიური ანტივირუსული მკურნალობისა და ვაქცინის არარსებობის პირობებში, კორონავირუსმა სერიოზულად შეარყია ქვეყნების ეკონომიკური ქსოვილი და მსოფლიო მასშტაბით, უსაფრთხოების მთავარ გამომწვევად იქცა<sup>5</sup>.

როგორც კონფლიქტები, ასევე კორონავირუსის პანდემია ნეგატიურ გავლენას ახდენს გენდერულ თანასწორობაზე და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იმ მიღწევებს, რომლებიც უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, უთანასწორობის შედეგების აღმოსაფხვრელად იყო მიმართული. არსებული გენდერული უთანასწორობის გამო, COVID 19-ის სოციალური და ეკონომიკური გავლენები ქალებსა და გოგოებზე უფრო ნეგატიურად აისახება და განსაკუთრებულ საფრთხეს ქმნის კონფლიქტით დაზარალებული იმ ქალებისა და გოგოებისთვის, რომლებიც მოწყვლად ჯგუფებს მიეკუთვნებიან. საგულისხმოა, რომ საბაზისო ჯანდაცვისა და ჰუმანიტარული პროგრამების შეფერხებამ, შეიძლება ფატალური შედეგები გამოიწვიოს ისეთ ადგილებში, სადაც ჯანდაცვასთან დაკავშირებული სისტემები უკვე გადატვირთული იყო, ან მეტწილად, არ არსებობდა<sup>6</sup>.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, გამოიკვლიოს კორონავირუსის პანდემიის გავლენები კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა და გოგოებზე, შეისწავლოს საერთაშორისო გამოცდილება,

<sup>1</sup> გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325 (2000). ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/39EuSkZ> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს]

<sup>2</sup> 2000 წლიდან დღემდე, გაეროს უშიშროების საბჭომ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების თემაზე სულ 10 თემატური რეზოლუცია მიიღო.

<sup>3</sup> 2011 წლის 27 დეკემბერს დამტკიცდა ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმა და შეიქმნა საკოორდინაციო ჯგუფი.

<sup>4</sup> ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა 2020 წლის 12 მარტს. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/3qpt6KD> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს]

<sup>5</sup> Hoogensen Gjør, G. "Coronavirus, invisible threats and preparing for resilience", NATO Review, 2020


<sup>6</sup> პოლიტიკის კვლევის დოკუმენტი: COVID 19-ის გავლენა ქალებზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, აპრილი, 2020 ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/2JBuM2W> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს]



შეაფასოს ლოკალური უსაფრთხოების პოლიტიკა ამ მიმართულებით, გამოავლინოს კომპაქტურ დასახლებებში, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარედ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქალებისა და გოგოების საჭიროებები, და შეიმუშაოს რეკომენდაციები, რომელიც, სახელმწიფოს დაეხმარება პანდემიის შედეგების საპასუხოდ, პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

## ძირითადი მიგნებები

კვლევის მიგნებები ეყრდნობა კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა და გოგოებთან ჩატარებულ ინტერვიუებსა და ფოკუს ჯგუფებს<sup>7</sup>, ქალთა უფლებების დაცვასა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციების, საერთაშორისო მისიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარებულ ინტერვიუებსა<sup>8</sup> და ფოკუს ჯგუფებს და პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ჩატარებულ ჩაღრმავებულ ინტერვიუებს.<sup>9</sup> სულ, კვლევის ფარგლებში ჩატარდა 19 ჩაღრმავებული ინტერვიუ და 5 ფოკუს ჯგუფი.<sup>10</sup>



კვლევამ აჩვენა, რომ კონფლიქტით დაზარალებული ქალები და გოგოები არაჰომოგენური ჯგუფია. ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ კორონავირუსის გავლენა მათ მდგომარეობაზე და ამ გავლენის შედეგად დამდგარი საჭიროებები - განსხვავებულია. ეს განსხვავებები მნიშვნელოვანია, და თავის მხრივ, სხვადასხვა სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული.

მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტით დაზარალებულ ქალებს სპეციალურად მიემართება სახელმწიფო სამოქმედო გეგმა „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“, და სახელმწიფოს მიერ კორონავირუსთან ბრძოლის ფარგლებში გატარებული პოლიტიკა მათ

<sup>7</sup> ფოკუს-ჯგუფისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს მეშვეობით, კვლევაში მონაწილეობა მიიღო ორმოცდაერთმა (41) კონფლიქტით დაზარალებულმა ქალმა, საიდანაც ორი (2) იყო ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები, ცხრა (9) - იძულებით გადაადგილებული და დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებაში მცხოვრები (ჯვარის, სენაკისა და კასპის დევნილთა დასახლებები) და ოცდაათი (30) - გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები ქალი და გოგონა.

<sup>8</sup> ფოკუს-ჯგუფისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს მეშვეობით, კვლევაში მონაწილეობა მიიღო ოთხი (4) საერთაშორისო ორგანიზაციის (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, ბერგჰოფის ფონდი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდი), ერთი (1) საერთაშორისო მისიისა (ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში) და ექვსი (6) არასამთავრობო ორგანიზაციის (ფონდი „სოხუმი“, ასოციაცია „მერკური“, ასოციაცია „ათინათი“, „იმედი“ და „რეაბილიტაციისა და განვითარების ცენტრი“) წარმომადგენელმა.

<sup>9</sup> ფოკუს-ჯგუფისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების მეშვეობით, კვლევაში მონაწილეობა მიიღო ხუთი (5) სახელმწიფო უწყებისა (შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების, ზრუნვისა და ტრეფიკინგის სააგენტო) და ექვსი (6) მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა (ონის, წალენჯიხის, ზუგდიდის, გორის, კასპისა და ქარელის მუნიციპალიტეტები).

<sup>10</sup> პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, ყველა ინტერვიუ და ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა ონლაინ პლატფორმების გამოყენებით.



ცალკე მონყვლად ჯგუფად არ მოიაზრებს, არსებობს კონფლიქტთან, ომთან დაკავშირებული ტრავმა, რომელიც ყველა მათგანს აერთიანებს. კვლევაში მონაწილე ყველა ქალმა აღნიშნა, რომ უსაფრთხოების ისეთი გამოწვევის დროს, როგორცაა COVID 19-ის პანდემია, სახელმწიფოს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარების სამიზნე იყო ის კონფლიქტით დაზარალებული ქალები და გოგოები, რომელთაც მონყვლადობის დამატებითი მარკერი აღენიშნებოდათ - მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობა ან მარტოხელა დედობა.

ტკივილი, ტრავმა და დანაკარგი, რომელიც ქალებში კონფლიქტმა გამოიწვია, საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან ყურადღებასა და აღიარებას, საჭიროებების შესწავლას და ინტერსექციური მიდგომების შემუშავებას, რადგან, უსაფრთხოების რისკები, როგორებიცაა, მაგალითად, შეიარაღებული კონფლიქტის განახლების შესაძლებლობა ან COVID-19 ის გლობალური პანდემია, მათზე განსაკუთრებულად მძიმედ აისახება.

ამასთან, კვლევამ აჩვენა, რომ განსხვავებების მიუხედავად, ყველა რეგიონში, მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე, კონფლიქტით დაზარალებული ქალები საუბრობდნენ კორონავირუსთან დაკავშირებულ სტიგმასა და ფსიქოლოგიურ ძალადობაზე, მათ შორის ოჯახის წევრებისა და ახლობელი ადამიანების მხრიდან. სტიგმა ქალებს აიძულებდათ დაემალათ, ან არ გაეთქვათ ინფიცირების სტატუსი და არ მიემართათ ტესტირებისა და ჯანდაცვის დაწესებულებებისათვის.





# 1. მეთოდოლოგია

## 1.1 კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოების, ასევე კონფლიქტურ კონტექსტში მომუშავე ქალი-უფლებადამცველების საჭიროებების სათანადო დოკუმენტირება და ანალიზი, რათა ხელი შეეწყოს მტკიცებულებებზე დამყარებული რეკომენდაციების შემუშავებას და მათ გათვალისწინებას, როგორც პანდემიასთან ისე მის შედეგებთან გამკლავების ეტაპზე, კერძოდ:

1. შეაგროვოს მტკიცებულებები და ამ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გააანალიზოს პანდემიის გენდერული გავლენები კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაზე, სამშვიდობო პროცესებსა და ქალ მშვიდობისმყოფელებზე (სახელმწიფოს მიერ ვირუსის გავრცელების პრევენციის ან კრიზისის საპასუხოდ გატარებული პოლიტიკის გავლენების ჩათვლით);
2. მოახდინოს პანდემიის პერიოდში კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოების წინაშე მდგარი გამოწვევების და პრობლემების იდენტიფიცირება;
3. მოახდინოს ქალთა ჩართულობის დოკუმენტირება კრიზისის დაძლევის პროცესში და იმ გზების ჩვენება, რომლითაც კონფლიქტით დაზარალებული ქალები უმკლავდებოდნენ მათ წინაშე მდგარ გამოწვევებს, გააანალიზოს ეს ცოდნა და გადააქციოს რეკომენდაციებად, რათა შესაძლებელი იყოს პოლიტიკის შექმნის პროცესში მათი გათვალისწინება.

ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად, კვლევა პასუხს გასცემს, თუ რა გავლენა მოახდინა კოვიდ-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ ა) კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა და გოგოებზე და ქალ-უფლებადამცველებზე, რომლებიც მუშაობენ კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ კონტექსტში; როგორ შეძლეს კონფლიქტით დაზარალებულმა ქალებმა, ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დანესებულ შეზღუდვებთან ადაპტირება? რა გამოწვევებს და ბარიერებს აწყდებიან ქალი აქტივისტები და მშვიდობისმყოფელები? როგორ გააგრძელეს საქმიანობა? (მათ შორის ორგანიზაციების დონეზე), რა ტიპის დახმარება სჭირდებათ საქმიანობის გასაგრძელებლად/ გასაუმჯობესებლად? როგორ იყვნენ კონფლიქტით დაზარალებული ქალები ჩართული კოვიდ-19-ის შედეგების საპასუხო გეგმის შემუშავების პროცესში? არიან თუ არა ადგილობრივი ქალები სრულფასოვნად ჩართული კრიზისის საპასუხო, პრევენციული ზომების, ეკონომიკური მხარდაჭერის პაკეტების ან პოსტ-კოვიდური რეპარაციის შემუშავების პროცესში და რა არის კონფლიქტით დაზარალებული ქალების ძირითადი გამოწვევები და ბარიერები, რა გავლენა მოახდინა მათ უფლებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე სახელმწიფო ანტი-კრიზისულმა პოლიტიკამ და რა იქნება მათი ძირითადი რეკომენდაციები.

## 1.2 კვლევის ფარგლები და შეზღუდვები

წინამდებარე კვლევის მიზანია შეისწავლოს პანდემიის გენდერული ასპექტების გავლენა კონფლიქტით დაზარალებულ ქალებზე, კერძოდ, ოკუპირებულ ტერიტორიებსა და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ, იძულებით გადაადგილებულ და დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ადგილებში მცხოვრებ ქალებზე.

საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის შედეგად და კვლევის თეორიული ჩარჩოს გათვალისწინებით, ძირითადი საკითხები, რომელსაც კვლევა, პანდემიის გავლენების შესწავლის მიზნით, გენდერული თანასწორობისა და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ დაფარავს, შემდეგია:

- კონფლიქტით დაზარალებული ქალების სრულფასოვანი ჩართულობა სამშვიდობო პროცესებსა და უსაფრთხოების რისკების მართვასთან დაკავშირებულ პროცესებში, მათ შორის, გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე.
- კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა ეკონომიკური მონაწილეობა, გაზრდილი აუნაზღაურებელი შრომის ჩათვლით.
- კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა.
- კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა და გოგონათა ინფორმირებულობა და საჯარო სერვისების მათთვის ხელმისაწვდომობის ხარისხი.
- კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა და გოგონათათვის ჯანდაცვის სერვისების, მათ შორის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობა.

შესაბამისად, კვლევა არ მოიცავს გენდერული თანასწორობის ყველა საკითხს და კონცენტრირდება იმ გამოწვევებზე, რომელიც საერთაშორისო გამოცდილების შესწავლისა და სამაგიდო კვლევის შედეგად გამოიკვეთა, როგორც პანდემიის პერიოდში, კონფლიქტით დაზარალებული ქალების წინაშე მდგარი ძირითადი გამოწვევები. ანტიკრიზისულ პოლიტიკას, რომელსაც სახელმწიფო, 2020 წლის მარტიდან კოვიდ 19-ით გამოწვეული პანდემიის სოციალური და ეკონომიკური გავლენების შესამსუბუქებლად ატარებდა, კვლევა შეისწავლის და შეაფასებს მხოლოდ კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა და გოგონებზე ამ პოლიტიკის რელევანტურობისა და მისი გავლენების ჭრილში.

განხორციელების შეზღუდული პერიოდის გამო,<sup>11</sup> კვლევა დეტალურად არ გააანალიზებს კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგონების წინაშე მდგარ ეკონომიკურ, სოციალურ ან ჯანდაცვის გამოწვევებს, საჭიროებებს, რომლებიც პანდემიის გამო დადგა, ან გამწვავდა კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის წინაშე და მათ შესახებ მხოლოდ ინფორმაციის შეგროვების და ძირითადი ტენდენციების გამოკვეთის ფუნქციას იკისრებს, რაც, შესაძლოა, პოლიტიკის შექმნის პროცესში, პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან, უფრო დეტალური გამოკვლევის საჭიროებაზე მიუთითებდეს.

ამასთან, კვლევის ერთ-ერთ შეზღუდვად შეიძლება ჩაითვალოს მისი თვისობრივი ხასიათი, რომელიც მასშტაბურ, რაოდენობრივ კვლევასთან შედარებით, ნაკლებ რეპრეზენტატიულია, რადგან შეუძლებელია მისი შედეგების განზოგადება.

<sup>11</sup> კვლევის მეორე ფაზა განხორციელდა 2021 წლის იანვარსა და თებერვალში.





## 2. პანდემიის გენდერული ასპექტები


პანდემია, ჯანდაცვის სხვა გლობალური კრიზისების მსგავსად, გენდერულად განსაზღვრული ფენომენია. ჯერ კიდევ კოვიდ 19-ით გამოწვეული პანდემიის გამოჩენამდე, საერთაშორისო საზოგადოება ყურადღებას ამახვილებდა ჯანდაცვის კრიზისებსა და გენდერულ გავლენებს შორის არსებულ კრიტიკულად მნიშვნელოვან კავშირებზე.

გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 2015 წელს, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების თემაზე მიღებული რეზოლუცია 2242<sup>12</sup> პირველია, რომელიც ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პანდემიებს უსაფრთხოების საკითხად აღიარებს და ქვეყნებს მოუწოდებს - პრევენციის, დაცვისა და ქალთა თანაბარი ჩართულობის, ასევე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანაბარი მონაწილეობის პრინციპები, ყველა საპასუხო გეგმის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყოს<sup>13</sup>.

დღეს, ქალები, ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზე არიან. ისინი შეადგენენ გლობალური სამედიცინო დახმარების მუშაკთა 70 პროცენტს-ს და ასევე, მათი უმეტესობა დასაქმებულია ზრუნვისა და მომსახურების სექტორში. ამ საქმიანობის პირველადმა და ჩაუნაცვლებელმა ხასიათმა დაგვანახა, რომ კორონავირუსის შედეგები აუცილებლად იქნებოდა გენდერულად განსაზღვრული. პანდემიის დაწყებისთანავე, ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის გაერო, მოუწოდებდა ქვეყნებს, გაეთვალისწინებინათ კორონავირუსის გენდერული გავლენები, და შესაბამისად მოეხდინათ კრიზისული მდგომარეობების პრევენცია და მართვა<sup>14</sup>.

განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი, პანდემიის გავლენას გენდერულ ძალადობაზე. პანდემიის დაწყებიდან რამდენიმე თვეში ნათელი გახდა, რომ დაავადების გავრცელების პრევენციისათვის მიღებული ისეთი ზომები, როგორებიცაა გადაადგილების შეზღუდვა, კომენდანტის საათი, მუშაობის ონლაინ რეჟიმზე გადასვლა და ა.შ. ხელს შეუწყობდა გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის შემთხვევების ზრდას<sup>15</sup>.

**ცხრილი N1:**  
**ოჯახში ძალადობის სტატისტიკა (შემაკავებელი ორდერები) 5 წლიან პერიოდში**



<sup>12</sup> გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ქალებზე მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე N4424 (S/RES/2242), 2015, ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/33DbReT> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს]

<sup>13</sup> პოლიტიკის კვლევის დოკუმენტი: COVID 19-ის გავლენა ქალებზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, აპრილი, 2020

<sup>14</sup> COVID 19 და ქალთა უფლებები: მომზადებული გაეროს უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ, 2020 ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/2l7h8ny> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს]

<sup>15</sup> ევროპა ემზადება ოჯახში ძალადობის "სრულყოფილი შტორმისთვის" კორონავირუსით გამოწვეული შეზღუდვების ფონზე, SWISSINFO, 2020 ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/36DQP1C> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს]



მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემების მიხედვით, ოჯახში ძალადობის სტატისტიკა ქვეყანაში, წინა წლის ამავე პერიოდთან მიმართებით 6.92 პროცენტით გაიზარდა<sup>16</sup>, გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობის ყოველწლიური ზრდის შეჩერება<sup>17</sup> შესაძლოა უკავშირდებოდეს პანდემიის ფონზე შემცირებულ გამოვლენის, ან მიმართვიანობის მაჩვენებელს. აღნიშნული წინასწარი მაჩვენებელი გამაფრთხილებელი მექანიზმი უნდა იყოს სახელმწიფოსათვის, რომელიც ვალდებულია, პანდემიით გათვალისწინებულ შეზღუდვებს მოარგოს გენდერული ძალადობის პრევენციის, მისგან დაცვისა და დახმარების მექანიზმები.

პანდემიამ უკვე გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელიც, მოსალოდნელია, რომ პანდემიის შემდეგაც გაგრძელდეს. ზოგადად, ქალები, კაცებთან შედარებით, პანდემიამდეც ეკონომიკურად არასახარბიელო მდგომარეობაში იყვნენ, კერძოდ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის 2020 წლის კვლევის მიხედვით, კრიზისამდე, ქალები საქართველოში კაცებთან შედარებით 24 პროცენტით ნაკლებს გამოიმუშავებდნენ, უფრო ნაკლებ დროს უთმობდნენ ანაზღაურებად სამუშაოს და უფრო მეტი ქალი იყო უმუშევარი, ვიდრე - კაცი.<sup>18</sup> COVID 19 ით გამოწვეული შეზღუდვები კი, ზრდის ქალთა აუნაზღაურებელი შრომის ტვირთს და დარტყმას აყენებს არაფორმალურ ეკონომიკას<sup>19</sup>, რომელშიც, უმეტესად, ქალები არიან დასაქმებული<sup>20</sup>.

ქალთა და გოგონათა ჯანმრთელობაზე კორონავირუსის უარყოფითი გავლენა, გარდა ვირუსით გამოწვეული რისკებისა, უკავშირდება ჯანდაცვის სექტორში ადამიანური, მატერიალური რესურსების და პრიორიტეტების განაწილებას, რაც, შესაძლოა, ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდიდეს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებს მათთვის. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ შეიძლება დადგეს საქართველოში, რადგან, ქვეყანაში, პანდემიამდეც გამოწვევა იყო, მდგრადი განვითარების დღის წესრიგში ასახული სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად, სახელმწიფოს მხრიდან, პროგრესული ნაბიჯების გადადგმა.<sup>21</sup> შესაბამისად, არსებობს მოლოდინი, რომ ჯანდაცვის სექტორის კოვიდ-19-ით გაღრმავებული კრიზისის, ეკონომიკური და გადაადგილების ბარიერების გამო, ქალებისთვის, მათთვის სპეციფიურ და საჭირო სექსუალური და რეპროდუქციული ჯანდაცვის სერვისებზე მისაწვდომობა და ინფორმირებულობა, კიდევ უფრო გართულებული იქნება.

მიუხედავად პანდემიის მკაფიო გენდერული ასპექტებისა, რომელიც გავლენას მილიონობით ადამიანის სიცოცხლის ხარისხზე ახდენს, მსოფლიო მასშტაბით დაგეგმილი და განხორციელებული პოლიტიკა, რომელიც შეეხება კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პრევენციას, მის მართვას

<sup>16</sup> შსს, “რეგისტრირებული კრიმინალის სტატისტიკა” (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2020), ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/3kw70ni> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 21 თებერვალს]

<sup>17</sup> შსს, “ოჯახში ძალადობის სტატისტიკა” (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2021), ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/37MgHsD> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 21 თებერვალს]

<sup>18</sup> საქართველოში COVID-19-ით გამოწვეული სიტუაციის სწრაფი გენდერული შეფასება, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2020, ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/37wVZf9> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს]

<sup>19</sup> რატომ მიაყენებს კორონავირუსით გამოწვეული რეცესია ქალებს უფრო დიდ დარტყმას, FastCompany, 2020, ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/2L5hjxk> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს]

<sup>20</sup> კორონა მოგვკლავს თუ შიმშილი, მნიშვნელობა არ აქვს: რუსთავში გარემოვაჭრებმა გზა გადაკეტეს, 2020, ონლაინ მისაწვდომია: [https://droa.ge/?page\\_id=956](https://droa.ge/?page_id=956) [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს]

<sup>21</sup> სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებების საკითხებზე ეროვნული კვლევა, საქართველოს სახალხო დამცველი, 2019. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/2lJZZkt> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს]



და შედეგების რეპარაციას, დიდწილად გენდერულად ბრმაა<sup>22</sup>, რაც, განსაკუთრებით მწვავედ აისახება მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნებულ პირებზე, მათ შორის, კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა და გოგობებზე.

კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სივრცეებში მცხოვრები ქალებისა და გოგობების უმეტესობას შეზღუდული აქვს გადაადგილების უფლება, საკუთარ საცხოვრებელსა და ბაზისურ სერვისებზე მისაწვდომობა. კონფლიქტით დაზარალებული ქალები, ასევე, არიან ვირუსის გადადების, ოჯახში ძალადობისა და ბაზისური ჯანდაცვის სერვისების გარეშე დარჩენის მომეტებული რისკის ქვეშ. იძულებით გადაადგილებული, სოფლად მცხოვრები და სხვა მოწყვლად ჯგუფებს მიკუთვნებული, კონფლიქტით დაზარალებული ქალები, დამატებით განიცდიან სანდო ინფორმაციაზე და ტექნოლოგიებზე მისაწვდომობის ნაკლებობას<sup>23</sup>.

ნებისმიერ ცვლილებას, რომელიც კონფლიქტით დაზარალებული ქალების უფლებრივი და ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართულ რესურსებსა და ძალისხმევას შეამცირებს, შესაძლოა ჰქონდეს მკვეთრად უარყოფითი, გრძელვადიანი გავლენა გენდერულ თანასწორობაზე, ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და განათლების უფლებაზე მისაწვდომობის ჩათვლით. შესაბამისად, აუცილებელია, გენდერის ფაქტორის, გენდერულად სეგრევირებული სტატისტიკის ანალიზის გათვალისწინებით, მოხდეს კრიზისის საპასუხო და რეპარაციული პოლიტიკის დაგეგმვა და განხორცილება.

<sup>22</sup> COVID 19-ის საპასუხო ღონისძიებების გლობალური გენდერული შეფასება, 2020. გაეროს განვითარების პროგრამისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი ონლაინ პლატფორმა: <https://data.undp.org/gendertracker/>

<sup>23</sup> COVID-19 და კონფლიქტი: ქალთა სრულფასოვანი ჩართულობის უზრუნველყოფა ცეცხლის შეწყვეტისა და სამშვიდობო მოლაპარაკებებში. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2020. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/2Vt6ZEW> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს].

### 3. კვლევის თეორიული ჩარჩო

კორონავირუსის გენდერული გავლენის სრული მასშტაბების შეფასება ჯერ კიდევ შეუძლებელია. თუმცა, ის, უკვე აღიარებულია უსაფრთხოების ერთ-ერთ ყველაზე დიდ საფრთხედ, რაც მსოფლიოს ბოლო პერიოდში განუცდია. მისი სოციალური და ეკონომიკური გავლენები უაღრესად დიდია და როგორც გამოწვევა, მოითხოვს კომპლექსურ, ერთიან მოქმედებას მსოფლიო თანამეგობრობის მხრიდან.

იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს საქართველოს კონტექსტში, კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოების უფლებრივ მდგომარეობაზე კორონავირუსის გავლენის შესწავლა, მნიშვნელოვანია, ადამიანის უფლებებისა და ფემინისტური თეორიის ქრილში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ინსტიტუციური ჩარჩოს, უსაფრთხოების რისკებისა და მათი გენდერული გავლენების შეფასება.

აღნიშნული ჩარჩო ეყრდნობა გაეროს უშიშროების საბჭოს ათ რეზოლუციას და წარმოადგენს უნიკალურ ანალიტიკურ საშუალებას, კონფლიქტებისა და უსაფრთხოების რისკების გასაანალიზებლად და საპასუხოდ. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ინსტიტუციური ჩარჩო ითვალისწინებს, რომ კონფლიქტის შედეგები და უსაფრთხოების გამოწვევები ქალებსა და გოგოებზე განსხვავებულად აისახება და აღიარებს სამშვიდობო პროცესებში ქალების განსაკუთრებულ როლს. ამასთან, ითვალისწინებს, რომ მშვიდობა და დაცულობა უფრო მდგრადია, როდესაც ქალები უსაფრთხოების რისკების მართვის, პრევენციისა და რეპარაციის პროცესში, თანაბრად არიან ჩართულნი<sup>24</sup>.

უსაფრთხოება, საერთაშორისო დონეზე, განმარტებულია, როგორც სახელმწიფოს მიერ მისი საზღვრებისა და მთლიანობის დაცვა<sup>25</sup>. მასში ასევე მოიაზრება ჯანდაცვის, სოციალური, ეკონომიკური და გარემოს დაცვითი საკითხები, რომლებიც საფრთხეს უქმნის მოქალაქეების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ადამიანის უფლებებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული იმ საკითხების უმეტესობა, რომელიც კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ გლობალურ დღის წესრიგში დააყენა, მომავალში მოითხოვს, უსაფრთხოების არსებული მექანიზმებისა და ინსტრუმენტების გადახედვას და ხელახალ გადააზრებას.

კერძოდ, კორონავირუსის შედეგებისა და გავლენების ანალიზი, სავარაუდოდ, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ინდივიდუალისტურ, ცალკეულ ქვეყნებზე მორგებულ უსაფრთხოების პოლიტიკას, მოითხოვს უსაფრთხოების კონცეპტის კიდევ ერთხელ გადახედვას და მეტ მნიშვნელობას მიანიჭებს ისეთი ინსტრუმენტების არსებობას, როგორიცაა გაეროს რეზოლუცია 1325 და თანმდევი რეზოლუციები. ვინაიდან, ეს მექანიზმი, ერთი მხრივ, იძლევა საერთო პრინციპებზე შეთანხმების შესაძლებლობას და მეორე მხრივ, ლოკალურ დონეზე, ქალთა გაძლიერებასა და ჩართულობაზე დამოკიდებული, უსაფრთხოების რისკების არსებობისას, მათი ინდივიდუალური საჭიროებების წინ წამოწევისა და გათვალისწინების კუთხით.

<sup>24</sup> ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა, 2018

<sup>25</sup> Tickner, Ann, Gendering World Politics: Issues and Approaches in the Post-Cold War Era, New York, 2001. გვ.38





უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული ფემინისტური მიდგომები ინდივიდს სოციალური სტრუქტურის ამოსავალ წერტილად განიხილავს და ცდილობს გააანალიზოს ფიზიკური და სტრუქტურული ძალადობის გავლენის არათანაბარი ხასიათი ადამიანების, ან ადამიანთა ჯგუფების უსაფრთხოებაზე, საზოგადოებაში არსებული სოციალური და კულტურული ნორმებისა და გენდერული სტერეოტიპების გათვალისწინებით. ამასთან, ისწრაფვის ემანსიპატორული უსაფრთხოების კონცეპტისაკენ, ცდილობს წარმოაჩინოს სოციალური იერარქიები და აანალიზებს ამ იერარქიების სტრუქტურას, საერთაშორისო წესრიგის ქრილში<sup>26</sup>.

ფემინისტური თეორია, უსაფრთხოების საკითხად განიხილავს ისეთ საერთაშორისო საფრთხეებს, როგორცაა გლობალური პანდემიები ან გარემოსდაცვითი საკითხები, სექსუალური და გენდერული ძალადობა (ფემიციდის ჩათვლით), ქალთა სიღარიბე და უთანასწორობა, ვინაიდან, გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის გარეშე, შეუძლებელი იქნება კონფლიქტების გადაწყვეტა და უსაფრთხოების გამონვევების საპასუხო მოქმედებების დაგეგმვა და განხორციელება.

<sup>26</sup> იქვე. გვ.62



## 4. კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა და გოგონათა უფლებრივი მდგომარეობა: პანდემიამდე არსებული მდგომარეობის შეფასება

იმ გავლენებზე მსჯელობისას, რომლებიც კორონავირუსის გავრცელებამ იქონია საქართველოში, კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა და გოგონებზე, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ქვეყანაში არსებობს ორი კონფლიქტური რეგიონი, 2019 წლის მონაცემებით - არის 286 216 რეგისტრირებული, იძულებით გადაადგილებული პირი<sup>27</sup> და ის, ეფექტურად ვერ აკონტროლებს ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალს. ამასთან, კონფლიქტით დაზარალებული ქალების უფლებრივი მდგომარეობის მიმართულებით, ქვეყანაში, პანდემიამდეც, არაერთი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევა არსებობდა.

მისასალმებელია, რომ პანდემიის მართვის პროცესში, საქართველოში, ქალები აქტიურად იყვნენ ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში<sup>28</sup>, თუმცა, სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა კორონავირუსის პრევენციის, მისი გავლენის შემსუბუქების, ან შედეგებთან გამკლავების კუთხით, ამ დრომდე, არასოდეს ყოფილა მიმართული სპეციფიურად კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგონებისაკენ.

კონფლიქტით დაზარალებული ქალების ჩართულობა მაღალი რანგის ფორმალურ მოლაპარაკებებში<sup>29</sup> ყოველთვის წარმოადგენდა გამოწვევას. მიუხედავად, დეკადის მანძილზე, პრობლემის ადვოკატირების, ანალიზის და რეკომენდაციებისა, სტერეოტიპული ნორმები, რომელიც ამ სფეროში არსებობს, ჯერ კიდევ ხელს უშლის ქალებს - იყვნენ სამშვიდობო მოლაპარაკების დელეგაციების წევრები, ან სხვაგვარად იყვნენ არსებითად ჩართული მშვიდობის აღდგენის პროცესებში, მიუხედავად იმისა, რომ ქალების მონაწილეობა ამგვარ პროცესებში აუცილებელია გენდერულად მგრძობიარე და მდგრადი შედეგების მისაღწევად<sup>30</sup>. ასევე კრიტიკულად დაბალია, ქალთა მონაწილეობა უსაფრთხოების სექტორში<sup>31</sup>.

გარდა რაოდენობრივი მონაცემებისა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრის ანგარიში<sup>32</sup> მიხედვით, ქალთა არსებითი ჩართულობა (meaningful participation) სამშვიდობო პროცესებში, ასევე უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

<sup>27</sup> რომელთა შორისაც, ქალები 53 პროცენტი-ს წარმოადგენენ. “ქალი და კაცი”, საქსტატი, 2020. მისაწვდომია ონლაინ <https://bit.ly/3qkBMBo> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 თებერვალს]

<sup>28</sup> ქვეყნის ორი (2) ვიცე-პრემიერ მინისტრი, ჯანდაცვის მინისტრი და მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პანდემიის პერიოდში იყო ქალი.

<sup>29</sup> 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის შეიქმნა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი. აღნიშნული დისკუსიების ჩამოყალიბების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესაბამისად. 2009 წლის თებერვალში, ჟენევის მოლაპარაკებების მეოთხე რაუნდზე მიღწეულ იქნა შეთანხმება ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შექმნის შესახებ, როგორც ოკუპირებული აფხაზეთის, ისე ოკუპირებული ცხინვალის მიმართულებით. აღნიშნული ფორმატის მთავარ მიზანს წარმოადგენს ადგილზე ყოველდღიური ინციდენტების განხილვა და ოპერატიული რეაგირების უზრუნველყოფა.

<sup>30</sup> დიპლომატიურ წარმომადგენლობებში სამხედრო ატაშე-ს პოზიციებზე კვლავ არ არიან ქალები წარმოდგენილი. ასევე, საანგარიშო პერიოდში არ გაზრდილა სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა წარმომადგენლობა, 2018-2020 წლებში 33 პროცენტი-20 პროცენტი-ს შორის მერყეობდა.

<sup>31</sup> 2018-2020 წლებში შინაგან საქმეთა სამინისტროში ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალთა პროცენტული მაჩვენებელი 6-7 პროცენტი-ს შეადგენდა, ხოლო თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისში 23 პროცენტი დან 33 პროცენტი-მდე გაიზარდა. უცნობია სამხედრო დანაყოფებში ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულ ქალთა პროცენტული მაჩვენებელი.

<sup>32</sup> ქალთა სრულფასოვანი ჩართულობა სამშვიდობო პროცესებში და სამშვიდობო შეთანხმებების შესრულების პროცესებში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ექსპერტული ჯგუფის შეხვედრის ანგარიში, 2018, ონლაინ მისაწვდომია <https://bit.ly/3g7ojst> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს].



1. ქალები სამშვიდობო პროცესებში ჩართულნი უნდა იყვნენ საკმარისად ხანგრძლივად, რომ შეძლონ კონსულტირება გაუწიონ, გააანალიზონ და წვლილი შეიტანონ სამშვიდობო ფორმატის რეკომენდაციებისა და თანხმობის მიღწევის პროცესში;
2. ქალები წინასწარ უნდა ფლობდნენ ინფორმაციას იმ საკითხების შესახებ, რომლებიც განიხილება მოლაპარაკების მაგიდაზე, რათა ეფექტიანად შეძლონ ქალთა ინტერესების წარმოჩენა;
3. ქალებს და ქალთა ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა;
4. ქალთა ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ ჩართულობისათვის საკმარისი რესურსები, რათა, შესაძლებლობების გაჩენისთანავე, პრაქტიკული და ფინანსური პრობლემების გარეშე, შეძლონ მოლაპარაკებებში ჩართვა<sup>33</sup>.

ხაზი უნდა გაესვას, რომ განუზომლად დიდია კონფლიქტით დაზარალებული და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქალების და გოგოების, ასევე, ქალთა ორგანიზაციებისა და ჯგუფების ღვაწლი არაფორმალურ სამშვიდობო პროცესებში და ურთიერთობის შენარჩუნების საქმეში. აღნიშნული საქმიანობა, მისი ბუნებიდან გამომდინარე ყოველთვის სათანადოდ დოკუმენტირებული, აღრიცხული და სათანადოდ დაფასებული არ არის. ხშირად, ქალთა ორგანიზაციებისა და ჯგუფების მიერ ინიცირებული მსგავსი შეხვედრები იმართება გახმაურების გარეშე, ნეიტრალურ ტერიტორიებზე. შედეგად, ქალები, რომლებსაც მიჰყავთ არაფორმალური სამშვიდობო პროცესები აფხაზ და ოს ქალებთან ერთად, აწყდებიან ბარიერებს ფორმალურ, პატრიარქალურ სამშვიდობო პროცესებში ჩართულობის მხრივ და მათი ეს აქტივობა არ აღიქმება ჟენევის სამშვიდობო მოლაპარაკების ფორმატში<sup>34</sup>.

ზოგადად, მშვიდობის მშენებლობის პროცესი პოლიტიკური პროცესია, და ქალთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი იმეორებს, ქვეყანაში, ქალთა თანაბარი პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით არსებულ გამოწვევებს. შედეგად, ისეთი მოლაპარაკების ფორმატები, როგორებიცაა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმი (IPRM) და ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები, ძირითადი უწყების წარმომადგენელი მამაკაცებით არის დაკომპლექტებული<sup>35</sup>.

პანდემიის გამო, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების უსაფრთხოების გაზრდის მიმართულებით, კერძოდ, გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემის ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება, რომელიც ამ დრომდე არ განხორციელებულა, მათ შორის, არც COVID-19 თან დაკავშირებული უსაფრთხოების რისკების პრევენციისა და მასთან გამკლავების კონტესტში.

<sup>33</sup> სტანდარტები, ბარიერები და ხარვეზების აღმოფხვრა: სამშვიდობო პროცესებში ქალთა ეფექტიანი მონაწილეობისა და წვლილის გაზრდა საქართველოში, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2020. გვ. 14-15 ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/39FgGbG> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს].

<sup>34</sup> იქვე.

<sup>35</sup> ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში გამართული შეხვედრების ანალიზი საშუალებას იძლევა ვთქვათ, რომ ქალთა ფორმალური რეპრეზენტაცია, ამ შეხვედრებში, კრიტიკულად დაბალია. შეხვედრების შესახებ ინფორმაცია ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/3de9kMz> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მარტს].



უნდა აღინიშნოს, რომ, კონფლიქტით დაზარალებული ქალების მისაწვდომობა საჯარო სერვისებზე ზოგადად წარმოადგენს გამოწვევას. საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა ჯანდაცვის სერვისების მიღება, რადგან რეგიონების ამბულატორიებში, ხშირად არ არის მისაწვდომი სამედიცინო აპარატურა, მედიკამენტები და, ხშირ შემთხვევაში, ექიმის კონსულტაციაც კი<sup>36</sup>. არ არსებობს მომსახურება, რომელიც უზრუნველყოფს დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების ფსიქოლოგიურ მხარდაჭერასა და, საჭიროების შემთხვევაში, საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფას, რაც მათ ჯანმრთელობაზე ნეგატიურად აისახება.

საოკუპაციო ხაზზე გადაადგილებისას, ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს უკანონო დაკავებები. ოფიციალური მონაცემებით, 2020 წელს, საოკუპაციო ხაზზე, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით 64 პირი (აქედან 6 ქალი და 1 არასრულწლოვანი), ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით 13 პირი დააკავეს (აქედან 1 ქალი და 2 არასრულწლოვანი).

პრობლემას წარმოადგენს ასევე, ინფორმირებულობა სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანდაცვის სერვისებთან და მარეგულირებელ ნორმებთან დაკავშირებით, კერძოდ, კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში გავრცელებული იყო მცდარი მოსაზრება, რომ საქართველოში ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა ნებისმიერ ორსულობის ვადაზე - კანონსაწინააღმდეგოა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება და მიანიშნებს მოსახლეობის კრიტიკულად დაბალ ინფორმირებულობაზე, საჯარო სერვისებთან და მარეგულირებელ კანონმდებლობასთან დაკავშირებით, რაც, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პანდემიის პრევენციისა და მართვის პროცესში.

მაშინ, როდესაც პანდემიის შედეგად იზრდება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის რისკი<sup>37</sup>, განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ პანდემიამდეც, კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოების ინფორმირებულობის დონე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სახელმწიფო სერვისების შესახებ დაბალი იყო; პრობლემას წარმოადგენს, ასევე, კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის კონცეფციის არარსებობა.

კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის რთული ეკონომიკური მდგომარეობა პანდემიამდეც გამოწვევას წარმოადგენდა. სხვა რეგიონებთან შედარებით (დედაქალაქის გამოკლებით) სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა, გაცილებით მაღალია კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში<sup>38</sup>, ხოლო ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები, კვლავ მწირი და არასაკმარისია, კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა თანაბარი ეკონომიკური ჩართულობის უზრუნველსაყოფად<sup>39</sup>.

<sup>36</sup> ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმის “(2018-2020) შესრულების შუალედური ანგარიში: მიგნებები და რეკომენდაციები, სახალხო დამცველის აპარატი, 2020 წელი. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/2l6OQtI> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს].

<sup>37</sup> კოვიდ-19 და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობა: ჩრდილოვანი პანდემია. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2020. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/3g4TEw7> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს].

<sup>38</sup> ოფიციალური უზრუნველყოფა, საქსტატი, 2019. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/2JNR8Oo> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს].

<sup>39</sup> ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმის (2018-2020) შესრულების შუალედური ანგარიში: მიგნებები და რეკომენდაციები, სახალხო დამცველის აპარატი, 2020 წელი. გვ. 17





## 5. პანდემიის გენდერული გავლენების შეფასება: რისკების ანალიზი

### 5.1 პოლიტიკური რისკები

კორონავირუსით გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური კრიზისი აისახება ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკურ პროცესებზეც. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მდივანმა, ანტონიო გუტიერესმა, პანდემიის დაწყების შემდეგ, რამდენჯერმე მიმართა ქვეყნებს ცეცხლის შეწყვეტის მოთხოვნით<sup>40</sup>, სამხრეთ კავკასიის რეგიონში კონფლიქტების ესკალაცია - კვლავ პრობლემაა<sup>41</sup>. ამასთან, პრობლემურია მთავრობების მიერ მათთვის კონსტიტუციით მინიჭებული ვალდებულებების განუხრელად განხორციელება, მაგალითად, არჩევნების ჩატარება, რადგან, აღნიშნული - წინააღმდეგობაში მოდის ჯანდაცვის რეკომენდაციებთან.

გართულებულია გლობალური მდგომარეობა ტერორისტული თავდასხმების გაძლიერების კუთხითაც. ლიბიაში, მაგალითად, აპრილში, დაიბომა საავადმყოფო, სადაც მკურნალობდნენ კორონავირუსით დაავადებულ პაციენტებს, ხოლო მაისში, ავღანეთში თავდასხმა მოხდა სამშობიარო სახლზე. მსგავსი რისკები საქართველოშიც თვალსაჩინოა. ინფიცირებულთა რიცხვის ზრდას და სოციალური მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას მოჰყვა რამდენიმე თავდასხმა ბანკებსა და მიკროსაფინანსო ინსტიტუტებზე, საავადმყოფოებზე, რამაც დაამძიმა ქვეყანაში არჩევნების შემდეგ შექმნილი, ისედაც კრიზისული მდგომარეობა.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია პოლიტიკური აქტორების მიერ, სიტუაციის ისე წარმართვა, რომ შესაძლებელი გახდეს კონსტიტუციურ ჩარჩოში, ქვეყნის ინტეგრაციისა და უსაფრთხოების დაცვა.

### 5.2 ეკონომიკური რისკები

COVID-19-ის ეკონომიკური გავლენები არაპროპორციულად აისახება ქალებსა და მამაკაცებზე. როგორც გაეროს მიერ მომზადებულ პოლიტიკის კვლევის დოკუმენტშია აღნიშნული, პანდემია აღრმავებს უკვე არსებულ უთანასწორობებს და მოწყვლადობას სოციალურ და ეკონომიკურ სისტემებში. კერძოდ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევის მიხედვით, პანდემიამდე დასაქმებული ქალებისა და მამაკაცების მესამედი ამბობს, რომ დაკარგა სამსახური. მართალია, ამავე კვლევის შედეგად, მამაკაცებთან შედარებით, უფრო ნაკლები ქალი აცხადებს, რომ შემოსავალი პროდუქტიული აქტივობიდან შეუმცირდათ, თუმცა მათი 39 პროცენტი ამ ტიპის შემოსავლის შემცირებას მაინც აღნიშნავს<sup>42</sup>; ამასთან, კორონავირუსის გავრცელებამ არაპროპორციულად დატვირთა ქალები შრომით, რომელიც აუნაზღაურებად ზრუნვას გულისხმობს, ამან კი, შეამცირა ქალების ეკონომიკური აქტივობა და ქალები და გოგონები დააყენა დროის სიმწირის პრობლემის წინაშე, რაც, გრძელვადიან პერსპექტივაში, ქმნის საფრთხეს ქალთა განათლების, დასაქმებისა და კარიერული წინსვლისათვის.

<sup>40</sup> გაეროს უშიშროების საბჭოს მდივანი მოუწოდებს ქვეყნებს ცეცხლის შეწყვეტისაკენ რათა შესაძლებელი გახდეს ფოკუსის პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაზე გადატანა. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/2l6dPwV> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს]  
<sup>41</sup> მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, გაეროს უშიშროების სამდივნო, 2020. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/2VyN2N4> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს]  
<sup>42</sup> საქართველოში COVID-19-ით გამოწვეული სიტუაციის სწრაფი გენდერული შეფასება, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2020. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/39FrSyn> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს]



კვლევებით დადგინდა, რომ, რაც უფრო სწრაფად მოახდენენ ქვეყნები გენდერულად მგრძობიარე ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვას, კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის საპასუხოდ, თუნდაც პანდემიის პირობებში, მით უფრო მაღალი იქნება დადებით გამოსავალთა მაჩვენებელი, არა მხოლოდ გენდერული თანასწორობის არამედ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიმართულებით. ამის საპირისპიროდ, თუ ქვეყნები არაფერს მოიმოქმედებენ, არსებობს რისკები, რომ გაუარესდება როგორც გენდერული თანასწორობა და თანაბარი ეკონომიკური ჩართულობა, ისე დასაქმებული და თვითდასაქმებული ქალების შემოსავლები. ამასთან, საგულისხმოა, რომ გენდერული თანასწორობისკენ მიმართული სოციალური დანახარჯები 6-ჯერ ჩამორჩება იმ სარგებელს, რომელსაც ქვეყანა ნახავს თანაბარი ეკონომიკური ზრდის შედეგად<sup>43</sup>.

ამ დრომდე არსებული სტატისტიკით, გლობალურად, კორონავირუსით გამოწვეული ლეტალობა კაცებს შორის უფრო მაღალია<sup>44</sup>. ამან, კრიზისის შემდგომ, შესაძლებელია გაზარდოს მართხელა ქალების/დედების და მართკ დარჩენილი ხანდაზმული ქალების რაოდენობა, რასაც, თავისთავად, ექნება მნიშვნელოვანი სოციო-ეკონომიკური შედეგები. ამ, და სხვა შესაძლო სცენარების გათვალისწინება აუცილებელია, კრიზისის გრძელვადიანი შედეგების გამოცნობისა და საპასუხო აქტივობების შედეგად, მოწყვლად მოსახლეობაზე მისი გავლენების შემსუბუქებისათვის.

### 5.3 ჯანდაცვის რისკები

კოვიდ 19 ით გამოწვეული პანდემია გააღრმავებს კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის და გოგოებისთვის ჯანდაცვის მისაწვდომობის კუთხით, ამ დრომდე არსებულ ბარიერებს, განსაკუთრებით, ეს ეხება პირველად ჯანდაცვის სერვისების, სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერვისებსა და პროდუქტებზე წვდომას. ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარედ და დევნილთა კომპაქტური ჩასახლების ადგილებში სამედიცინო დაწესებულებების, ამბულატორიებისა და ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების ხელმისაწვდომობა პანდემიამდეც პრობლემას წარმოადგენდა დაფინანსების, აპარატურის და გამოცდილი ადამიანური რესურსის ნაკლებობის გამო.

პანდემიის დროს ჯანდაცვის სერვისებზე გაზრდილი მოთხოვნა ამ კრიზისს კიდევ უფრო გააღრმავებს, მათ შორის, არსებული, ან პანდემიის პრევენციისათვის დაწესებული გადაადგილების ბარიერების, უსაფრთხოების რისკების და გენდერული ძალადობით (მაგ. ოჯახში ძალადობით), ან უთანასწორობით გამოწვეული ბარიერების გამო, რაც ართულებს ქალებისა და გოგოებისთვის სერვისების ხელმისაწვდომობას. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ, გლობალურად, დედათა სიკვდილანობის 50 პროცენტი კონფლიქტურ სივრცეებზე მოდის<sup>45</sup>. COVID 19-ის პანდემია, როგორც ჯანდაცვის გამოწვევა, ნიშნავს იმასაც, რომ ქალებისთვის საჭირო სამედიცინო და მატერიალური რესურსი, საბაზისო სამედიცინო სერვისებიდან, შესაძლოა, პანდემიასთან ბრძოლისათვის გადამისამართდეს.

<sup>43</sup> COVID-19 და გენდერული თანასწორობა: წინ აღვუდგეთ ნეგატიურ ეკონომიკურ გავლენებს, მაკკინზი&კომპანი, 2020. ონლაინ მისაწვდომია: <https://mck.co/37AAAn1u> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს]

<sup>44</sup> კორონავირუსი უფრო მეტ კაცს კლავს, ვიდრე ქალს, ვაშინგტონ პოსტი, 2020. ონლაინ მისაწვდომია: <https://wapo.st/33ARKOA> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს].

<sup>45</sup> კონფლიქტის დაფარული სახე: დედათა სიკვდილანობა, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, 2018. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/2N6WC93> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 თებერვალს]





ებოლა ვირუსის გავრცელებით გამოწვეულმა კრიზისმა აჩვენა, რომ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართული სერვისების ნაკლებ-პრიორიტეტიზაციამ და ამ სფეროში არსებული საბაზისო სერვისების და მექანიზმების დაფინანსების შემცირებამ, მკვეთრად ნეგატიური ეფექტი ჰქონდა, ძალადობის მსხვერპლთა და გადარჩენილთა ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, ხოლო სიერა ლეონეში, გინეკოლოგიური მოვლის დაწესებულებების დახურვამ, გაზარდა დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი<sup>46</sup>. კორონავირუსის გავრცელებამ, ასევე შესაძლოა გაზარდოს სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობის მაჩვენებლები. მაგალითად, სიერა ლეონეში, ებოლას ეპიდემიის დროს გაიზარდა სექსუალური ძალადობის და ექსპლოატაციის შემთხვევები, იმ ჯანდაცვის მოსამსახურეთა მხრიდან, რომლებიც ქალებისა და გოგოების ვაქცინაციაზე იყვნენ პასუხისმგებლები, ხოლო საქართველოს სახალხო დამცველმა, კარანტინში მყოფი ქალის მიმართ, ექიმის მხრიდან სექსუალური შევიწროების ფაქტი დაადგინა<sup>47</sup>. რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს დამატებითი პრევენციული ზომები, ჯანდაცვის სერვისების გაცემისას სექსუალური შევიწროების, ძალადობის და ექსპლოატაციის შესამცირებლად.

### **5.4 ინფორმირებულობასა და მისაწვდომობასთან დაკავშირებული რისკები**

ლიმიტირებული წვდომა ელექტრონულ მონაცემებთან, ინტერნეტთან, ან მათი გამოყენებისთვის საჭირო უნარების არ ქონამ, შესაძლოა კონფლიქტისა და პოსტ-კონფლიქტის რეგიონებში მცხოვრებ ქალებსა და გოგოებს გაურთულოს მისაწვდომობა სანდო და საჭირო ინფორმაციაზე, ელექტრონულ პლატფორმებსა (მაგ. 112-ის აპლიკაცია) და განათლების სერვისებზე.

ჯანდაცვის სერვისების კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული კოლაფსის გამო, ხშირად ქალებს აკისრიათ ვირუსით დაავადებული ოჯახის წევრებისა და ახლობელი ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვა და მოვლა, რაც, ორმაგად რთულდება ჯანდაცვის სანდო ინფორმაციის წყაროზე მისაწვდომობის არარსებობის პირობებში. ეს ზრდის ქალების მონყვლადაობას და ამცირებს მათ მიერ განეული დახმარების ეფექტიანობას. ამასთან, სანდო ინფორმაციაზე მისაწვდომობის არქონა იწვევს ვირუსის გარშემო მითებისა და ლეგენდების წარმოშობას, რაც, ხშირად, შესაძლოა უკავშირდებოდეს ვირუსის ფორმას, გადაცემის ფორმებს, მკურნალობის მეთოდებს და არ შეესაბამებოდეს ჯანდაცვის ოფიციალური უწყებების მიერ გავრცელებულ, მეცნიერულად დადასტურებულ ინფორმაციას.

ხშირად, ის ბაზისური ჯანდაცვის სერვისები, რასაც ქალები იღებენ (სახელმწიფო სერვისების, ინფორმაციის, მედიკამენტებისა და კონსულტაციის ჩათვლით) პანდემიის დროს ელექტრონულად ფუნქციონირებს, რაც, ელექტრონულ მონაცემებზე და ინტერნეტზე მისაწვდომობის შეზღუდვამ ან/და მათი გამოყენების უნარების არ ქონამ, შესაძლოა, ქალებს შეუზღუდოს მისაწვდომობა სამედიცინო სერვისებსა და მედიკამენტებზე. ასევე, ოჯახში და ქალის მიმართ ძალადობის გამოვლენასა და შეტყობინებასთან დაკავშირებულ რისკებს შეიცავს ელექტრონული მონაცემების, ინტერნეტისა და მათი თავისუფლად გამოყენების ხელმიუწვდომლობა.

<sup>46</sup> COVID-19-ის საპასუხო პოლიტიკა და მისი კავშირი ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების თემასთან. Social Development Direct, 2020. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/37tUblp> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს]

<sup>47</sup> საქართველოს სახალხო დამცველმა ექიმის მხრიდან კარანტინში მყოფი ქალის მიმართ სექსუალური შევიწროების ფაქტი დაადგინა, 2020. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/3mDKARh> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს]



კონფლიქტურ რეგიონებში ნაკლებია მისაწვდომობა სუფთა წყალზე და ჰიგიენის საშუალებებზე. ამასთან, ხშირად, ქალები და გოგოები არიან პასუხისმგებლები წყლის შეგროვებასა და ოჯახის წევრების ჰიგიენაზე. იმ კონტექსტში, როდესაც ქალები ისედაც ძალადობის მომატებული საფრთხის მოლოდინში არიან, მათ მიერ ამ პასუხისმგებლობის ვერ, ან არ შესრულებამ, შესაძლოა გაზარდოს მათ მიმართ ძალადობის რისკები და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ვირუსის გავრცელების პრევენცია.

განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენდა ე.წ. გამშვებ პუნქტებზე გადაადგილების უფლება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებდა საჯარო სერვისებზე კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის მისაწვდომობას კოვიდ პანდემიის დროს.

ე.წ. გამშვებ პუნქტებზე გადაადგილებისთვის, ორივე მხარის ხელისუფლებების მიერ დადგენილი ფორმალური რეჟიმი და სხვადასხვა ბარიერების დაწესება, როგორცაა ე.წ. გამშვები პუნქტების არაპროგნოზირებადი ჩაკეტვა, გადაადგილებისათვის აუცილებელ, დე ფაქტო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები, სავალდებულო კარანტინი და სხვა, ზღუდავს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ქალებისა და გოგოების გადაადგილების თავისუფლებას და გაუმართლებელ დაბრკოლებებს უქმნის მათ, საარსებო სერვისებით სარგებლობის კუთხით<sup>48</sup>.

2020 წლის ნოემბრის ბოლოსთვის (14 მარტიდან ჩაკეტილობის შემდეგ), აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ, 8 თვიანი ჩაკეტვის შემდეგ, ენგურის ე.წ. გამშვები პუნქტი გახსნა მხოლოდ პენსიონრებისთვის, თუმცა გარკვეული შეზღუდვებით. კერძოდ, კვირაში სამჯერ, პენსიონერებს მხოლოდ ენგურის ხიდის ბოლომდე შეუძლიათ გადმოსვლა, სადაც მათ პენსიის გამცემი ბანკის ავტომატური ელოდებათ<sup>49</sup>. რაც შეეხება ოკუპირებულ ცხინვალს, კოვიდ-19-ის ეპიდემიის საბაბით, დე-ფაქტო ადმინისტრაციამ, დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი ხუთივე გამშვები პუნქტი ჩაკეტა, რის შედეგადაც, ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობა მძიმე ჰუმანიტარული კრიზისის წინაშე აღმოჩნდა.<sup>50</sup>

## 5.5 გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული რისკები

კორონავირუსის საპასუხო ღონისძიებები და ასევე, პანდემიის პრევენციის მიზნით სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვები, კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სივრცეებში ზრდის გენდერული ძალადობის ისედაც მაღალ რისკს<sup>51</sup>.

ჯანდაცვის კუთხით არსებული კრიზისები, როგორც წესი, იწვევს ძალადობის შემთხვევების ზრდას. კერძოდ, ქოლერაზე საპასუხო ღონისძიებებმა, სირიასა და იემენში, გამოიწვია გენდერული ძალადობის შემთხვევების ზრდა, მათ შორის, იძულებითი და ადრეულ ასაკში ქორწინების შემთ-

<sup>48</sup> ანაკლიის საკარანტინო სივრცეში 63 წლის ქალი გარდაიცვალა, 2021. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/3f3hfyj> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მარტს]

<sup>49</sup> 8-თვიანი ჩაკეტვის შემდეგ, ენგურის ხიდი პენსიონრებისთვის გაიხსნა, ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ გვერდზე: <https://bit.ly/3m7LcgV> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მარტს]

<sup>50</sup> ცხინვალის ოქისისა და ქარზმანის გამშვები პუნქტების გადაკვეთისთვის ნებართვების გაცემას განაგრძობს, 2021. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/396vqiL> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მარტს]

<sup>51</sup> კოვიდ-19 და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობა: ჩრდილოვანი პანდემია. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2020. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/3g4TEw7> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს].



ხვევების ზრდაც<sup>52</sup>. სმუნხაროდ, უკვე შესაძლებელია მსგავს ტენდენციებზე საუბარი კოვიდ-19 თან დაკავშირებითაც. კორონავირუსით გამოწვეული პანდემიისა და საკარანტინე ღონისძიებების გამო გაზრდილ ძალადობის რისკზე საუბრობენ საკუთარ განცხადებებში, გაეროსა და ევროსაბჭოს გენერალური მდივნები.<sup>5354</sup>

კორონავირუსით გამოწვეული გავლენები, კონფლიქტთან დაკავშირებულ სტრესსა და ტრავმასთან ერთად, ზრდის ინტიმური პარტნიორის მიმართ ძალადობის რისკებს მაშინ, როდესაც შემცირებულია დაცვისა და დახმარების მექანიზმებზე წვდომა, გადაადგილების, ვირუსის გადადების თუ სხვა ბარიერების გამო.

გლობალურ გამოწვევად რჩება კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში კორონავირუსის შემთხვევების არასწორი აღრიცხვა და ვირუსის არსებობის შემთხვევაში, ტესტირების ეტაპზე ქალთა დაბალი მიმართვიანობა<sup>55</sup> რაც ტესტირების მისაწვდომობის ბარიერებთან არის დაკავშირებული.

შეიარაღებული კონფლიქტი ასევე ზრდის ქალთა მიმართ სექსუალური და ფიზიკური ძალადობის რისკს, შეიარაღებული ჯგუფების მხრიდან. იმის გათვალისწინებით, რომ ხშირად ხდება კორონავირუსის პრევენციის საბაბით, სახელმწიფოს მხრიდან, მკაცრი ზომების გატარება მოსახლეობის კონტროლის მიზნით, შესაძლოა, ამან გამოიწვიოს შეიარაღებულ ან სამშვიდობო მისიებში მომსახურე პირების მიერ, სექსუალური ძალადობის დანაშაულების რისკის ზრდა<sup>56</sup>. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოებისათვის, იმ რეგიონებში, სადაც სამშვიდობო და უსაფრთხოების ძალებზე ქვეყნის მიერ მცირე კონტროლი ხორციელდება, კოვიდ-19 ის გავრცელების პრევენციის მიზნით შემოღებულ საკარანტინო ზომებს ქალები შიშით უყურებენ<sup>57</sup>.

არსებული მდგომარეობის ანალიზით ცალსახაა, რომ საქართველოში, როგორც სხვა კონფლიქტით დაზარალებულ ქვეყნებში, მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ ის სპეციფიური გავლენები, რომელსაც COVID 19 ახდენს კონფლიქტურ ან პოსტ-კონფლიქტურ სივრცეებში მაცხოვრებელ ქალებსა და გოგოებზე. ვინაიდან აშკარაა, რომ კოვიდის გენდერული გავლენა, უფრო მეტად იქნება გამოხატული კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა და გოგოებზე, მნიშვნელოვანია მათი ჩართვა როგორც მოკლევადიან, სწრაფი მოქმედების მექანიზმების შემუშავების, ისე გრძელვადიანი, რეპარაციის პროცესის დაგეგმვისას.

<sup>52</sup> COVID-19 ის საპასუხო პოლიტიკა და მისი კავშირი ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების თემასთან. Social Development Direct, 2020. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/37tUbUp> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს]

<sup>53</sup> გაეროს გენერალური მდივნის მიმართვა კორონავირუსის და გენდერული ძალადობის თემაზე, 2020. ონლაინ მისაწვდომია: <https://www.un.org/sg/en/node/251640> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს]

<sup>54</sup> COVID-19-ით გამოწვეული კრიზისი: ევროსაბჭოს გენერალური მდივანი შეშფოთებას გამოთქვამს ძალადობის გაზრდილ რისკებზე, 2020. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/2j8WjYq> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს].

<sup>55</sup> COVID-19-თან დაკავშირებული ტესტირება და შემთხვევათა რაოდენობა კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში შესაძლოა მეტი იყოს.

<sup>56</sup> COVID-19-ის საპასუხო პოლიტიკა და მისი კავშირი ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების თემასთან. Social Development Direct, 2020. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/37tUbUp> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს]

<sup>57</sup> იქვე.



## 6. კვლევის მიზნები

### 6.1 სრულფასოვანი ჩართულობა სამშვიდობო და უსაფრთხოების რისკების მართვის, პრევენციისა და რეპარაციის პროცესებში

*წინამდებარე თავი დიდწილად ეხება მხოლოდ ოკუპირებულ აფხაზეთის რეგიონს. სამწუხაროდ, ოკუპირებულ ცხინვალში, აქტიური ბორდერიზაციის ფონზე, თითქმის არ მიმდინარეობს სამშვიდობო პროცესი და ჯერ-ჯერობით, ამ კუთხით, წინ გადადგმული ნაბიჯები სახელმწიფოს არ გააჩნია.*

ახალმა კორონავირუსმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სახელმწიფო უწყებების მუშაობასა და იმ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდების დღის წესრიგზე, რომლებიც მუშაობენ საქართველოში, კონფლიქტების დარეგულირებისა და ნდობის აღდგენის მიმართულებით, ჩართულები არიან სამშვიდობო პროცესებში და მონაწილეობენ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის შემუშავებაში. პანდემიამ გაართულა სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მშვიდობის აღდგენის პროცესების წარმართვა. შეუძლებელი გახდა საქართველოს ფარგლებს გარეთ ორმხრივი შეხვედრების განხორციელება. უსაფრთხოების რისკების გამო, ონლაინ ფორმატში მხოლოდ დაწყებული სამშვიდობო პროცესის გაგრძელება მოხდა, ხოლო ახალი პროცესები არ დაწყებულა.

პანდემიის დასაწყისიდან მეორე ტალღის ბოლომდე, სამშვიდობო პროცესებმა რამდენიმე გარდამავალი პერიოდი გაიარა. მიუხედავად COVID-19 ის პირველი ტალღით გამოწვეული ერთგვარი სტაგნაციისა, ამ პერიოდმა დიდხანს არ გასტანა და აქტორებმა სწრაფად შეძლეს ახალ რეალობასთან ადაპტირება.<sup>58</sup> სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ ბარიერების კვალდაკვალ შეიქმნა შესაძლებლობებიც<sup>59</sup>. კერძოდ, პანდემიის დაწყების შემდეგ, ქართველი და აფხაზი ინფექციონისტები ერთად მუშაობდნენ ეპიდსიტუაციის მართვის მიზნით. ონლაინ ფორმატმა ორგანიზაციებს მისცა დისკუსიების გაფართოების და მასში უფრო მეტი ადამიანის ჩართვის შესაძლებლობა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სამშვიდობო და ნდობის აღდგენის პროცესები დიდწილად დამოკიდებულია ფიზიკურ სივრცეში ადამიანების ურთიერთობაზე, ონლაინ შეხვედრებმა ვერ შეძლო ფიზიკური პროცესის ჩანაცვლება. უსაფრთხოების რისკების დაზღვევის შეუძლებლობიდან გამომდინარე, ზოგიერთმა ორგანიზაციამ უარი თქვა პროცესის გაგრძელებაზე პანდემიის პერიოდში.

არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში ლიმიტირებულია. მეტიც, რამდენიმე ორგანიზაცია, რომელიც კონფლიქტით

<sup>58</sup> გაეროს ქალთა ორგანიზაციამ იზრუნა დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალების ჩართვაზე სამშვიდობო პროცესებში, ინტერნეტზე მისაწვდომობის გაზრდის გზით, რამაც ხელი შეუწყო მათ ჩართულობას და ამავდროულად, კონფლიქტით დაზარალებულ ქალებს, ინტერნეტზე უკეთესი მისაწვდომობა დაეხმარა, ზოგადად, სერვისებზე მისაწვდომობის გაუმჯობესებაში.

<sup>59</sup> სახელმწიფომ 2020 წელს ორი შეხვედრა ჩაატარა მრავალმხრივ ფორმატში და 10-მდე შეხვედრა ორმხრივ ფორმატში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ კონფლიქტით დაზარალებული ქალები და რომელიც შეეხებოდა, მათ შორის, კორონავირუსის გავლენებს და საპასუხო პოლიტიკას.



დაბარალეულ რეგიონებში მუშაობს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე საქმიანობის შეჩერების რისკის წინაშე დადგა ოპერაციული ხარჯების დასაფარად სათანადო დაფინანსების არარსებობის გამო. მათი განცხადებით, დონორი ორგანიზაციების გრანტები პანდემიის პერიოდში ფარავდა მხოლოდ სერვისის გაცემის ხარჯებს და არ იყო მიმართული თავად ორგანიზაციის გადარჩენისკენ.

რეგიონში მნიშვნელოვან პოლიტიკურ გამოწვევას წარმოადგენდა, ასევე, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, რომელსაც გავლენა ჰქონდა მათ შორის, საქართველოში არსებულ კონფლიქტებზე. ოკუპირებულ აფხაზეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ნდობის აღდგენის პროცესში არიან ჩართულნი, ყარაბაღის მაგალითს ხედავენ როგორც საფრთხეს, რომ იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნება, შესაძლოა, კონფლიქტის განახლების საბაბი გახდეს. სამწუხაროდ, ქართულ საზოგადოებაში, ყარაბაღის კონფლიქტზე და სამხრეთ კავკასიაში გაჭიანურებული კონფლიქტის განახლების გავლენების მნიშვნელობაზე, საუბარი თითქმის არ მიმდინარეობდა.

რეგიონში არსებული კონფლიქტების განახლებაზე გავლენა ჰქონდა პანდემიასაც. ქალები, განსაკუთრებით სომეხი და აზერბაიჯანელი ქალები, ადრეული გაფრთხილების მექანიზმის ფარგლებში, სხვადასხვა პლატფორმაზე ღიად საუბრობდნენ შეიარაღებული ომის საშიშროების შესახებ. თუმცა, მათი აზრი არ იქნა სათანადოდ გათვალისწინებული. შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ, პანდემიამ გადაფარა პოლიტიკური რისკები რეგიონში. არსებული საფრთხეები აღქმულია უსაფრთხოების „თანმდევ“ რისკებად, რაც ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის დეპრიორიტეტიზაციას ახდენს.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, ნდობის აღდგენისა და მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად დასახელდა კონფლიქტით დაბარალეული ქალების საჭიროებებზე პასუხისმგებელი რამდენიმე სამინისტროს კოორდინირებული მუშაობა. რომლის შედეგადაც, დევნილი ქალების სრულფასოვანი ჩართულობა სამშვიდობო პროცესებში ამოვარდნილია პოლიტიკური დღის წესრიგიდან<sup>60</sup> მიუხედავად იმისა, რომ დევნილი ქალები არიან იმ პოლიტიკური მეხსიერების მატარებელნი, რაც საფუძვლად უნდა დაედოს მშვიდობის მშენებლობის პროცესს.

უნდა აღინიშნოს, რომ იძულებით გადაადგილებულ და ოკუპირებულ ტერიტორიაზე (მეტწილად ოკუპირებულ გალის რაიონში) მცხოვრებ ქალებს, აქვთ განცდა, რომ ჩართულები არიან არაფორმალურ, ორმხრივ დიალოგში, რადგან მათ ე.წ. გამყოფი ხაზის ორივე მხარეს ჰყავთ სოციალური წრე, რომელთანაც აქვთ მუდმივი კონტაქტი და აქვთ ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის განცდა. სამწუხაროდ, განცდა, რომ სამშვიდობო პროცესისა და ორმხრივი დიალოგის ნაწილი არიან, არ აქვთ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ქალებს.

<sup>60</sup> კერძოდ, იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2019-2020 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებს დევნილი ქალების ჩართულობას სამშვიდობო პროცესებში. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/3bBgmhd> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 21 თებერვალს]



## 6.2 ქალთა ეკონომიკური მონაწილეობა

პანდემიამ და თანმდევმა შეზღუდვებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოში, კონფლიქტით დაზარალებულ ქალთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ადამიანებმა დაკარგეს სამუშაო, ხოლო ისინი, ვინც პანდემიის პერიოდში შეინარჩუნა დასაქმების ადგილი, უდიდესი საზოგადოებრივი სტიგმის და ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ აღმოჩნდნენ. ეს ქალები საკუთარი პროფესიული ვალდებულების შესრულების გამო, დამატებით საფრთხის შემცველ კატეგორიად და ოჯახში ძალადობის ობიექტად იქცნენ.<sup>61</sup>

მიუხედავად ამ ტენდენციისა, დევნილი, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები და ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალების საჭიროებები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულია.

საქართველოში მცხოვრები დევნილი მოსახლეობის შესახებ ჩატარებული იმ კვლევების მიხედვით, რომლებსაც აქვთ გენდერული განზომილება, შეიძლება ითქვას, რომ დევნილმა ქალებმა უკეთესად შეძლეს ახალ გარემოებებთან შეგუება, ახალი ხერხების გამომუშავება ოჯახების გადასარჩენად.<sup>62</sup> თუმცა, კორონავირუსის შედეგად მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა.<sup>63</sup>

საინტერესოა, რომ ოჯახის შემოსავლის მკვეთრად შემცირებას, კორონავირუსის პირველი ტალღის პერიოდში, ძირითადად, თბილისსა და მის შემოგარენში მცხოვრები დევნილი ქალები აღნიშნავდნენ, რაც უკავშირდებოდა სამუშაო ადგილების დაკარგვას ოჯახის ერთი ან რამდენიმე წევრის მხრიდან. მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოში, დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში მცხოვრები, იძულებით გადაადგილებული ქალების ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ გაუარესებულა, რადგან პანდემიამდეც უკიდურესად მძიმე იყო. მიუხედავად ამისა, კომპაქტურ ჩასახლებებში მცხოვრები დევნილი ქალების დიდი ნაწილი საუბრობს პანდემიის ნეგატიურ გავლენებზე და ამავდროულად, აღნიშნავს, რომ სოციალურად დაუცველია და სახელმწიფო შემწეობა მათი შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა როგორც პანდემიამდე, ისე პანდემიის პერიოდში.

ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები ქალების ეკონომიკურ მდგომარეობაზე პანდემიას უარყოფითი გავლენა ჰქონდა, რადგან, შეიზღუდა ეკონომიკური საქმიანობების არეალი, გაჩერდა მშენებლობები, ვაჭრობა, ტურიზმი<sup>64</sup>. განსაკუთრებით ნეგატიური გავლენა პანდემიამ მოახდინა ოკუპირებული გალის რაიონის იმ მოსახლეობაზე, რომელიც:

(ა) საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე იყო ჩართული არაფორმალურ ეკონომიკურ საქმიანობაში ან რამენაირად უკავშირდებოდა ადმინისტრაციული გამყოფი ე.წ. საზღვრის გადაკვეთას, რადგან მათი საქმიანობა სრულიად შეჩერდა და მათ ვერ მოახერხეს საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ ანტიკრიზისულ გეგმაში ჩართვა.

<sup>61</sup> კოვიდ-პანდემიის გენდერული განზომილება და მისი გავლენა ადამიანურ უსაფრთხოებაზე. ფონდი „სოხუმის“ სამიზნე რეგიონებში ჩატარებული სწრაფი მოკვლევების შედეგები, 2020. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/3koYhTy> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 21 თებერვალს]

<sup>62</sup> ნარგიზა არჯევანიძე, „ფემინისტური პერსპექტივები ომსა და იძულებით გადაადგილებაზე“, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისი, 2020. გვ.17-65

<sup>63</sup> COVID-19 და დევნილი ქალის დაზარალებული ჟოლოს ბადის ბიზნესი, ნეტგაზეთი, 2020. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/3dJsnGv> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 21 თებერვალს]

<sup>64</sup> კორონავირუსი: გავლენები ვაჭრობასა და ტურიზმზე აფხაზეთში. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/3dL5uvW> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მარტს]



(ბ) დამოკიდებული იყო საქართველოს მიერ გაცემულ პენსიებსა და დევნილთა შემწეობებზე და შედეგად, დარჩა საარსებო წყაროს გარეშე.

საგანგაშო მდგომარეობაა ოკუპირებული ახალგორის რაიონში. ე.წ. საზღვარზე ვითარება 2019 წლის აგვისტოს ბოლოდან დაიძაბა მას შემდეგ, რაც საოკუპაციო რეჟიმმა საქართველოს ხელისუფლებისგან მოითხოვა ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანასთან გახსნილი პოლიციის საგუშაგოს აღება. მოგვიანებით, 2019 წლის 4 სექტემბრიდან დე-ფაქტო ხელისუფლებამ ე.წ. გამშვები პუნქტები სრულად ჩაკეტა. შესაბამისად, ოკუპირებული ახალგორის ადგილობრივი მოსახლეობა 2019 წლის 4 სექტემბრის მერე, სრულ იზოლაციაში მოექცა. ე.წ. გამშვები პუნქტის ჩაკეტვამ, რომლითაც ყოველდღიურად 400-მდე ადამიანი სარგებლობდა, ახალგორში მცხოვრები, ქალებისთვის და გოგონებისთვის მძიმე ჰუმანიტარული ვითარება შექმნა.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ქალთა ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. კვლევის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ისინი ძირითადად ჩართულები იყვნენ სოფლის მეურნეობის, მცირე ბიზნესის და მომსახურების სფეროში. ერთი მხრივ, ამ სფეროებს პანდემია ყველაზე მეტად შეეხო და ბევრმა ქალმა დაკარგა სამსახური, ხოლო მეორე მხრივ, ქალები ვერ ახერხებდნენ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებიდან სამსახურამდე გადაადგილებას, მუნიციპალურ ტრანსპორტზე დაწესებული შეზღუდვებისა და ტრანსპორტირების ხარჯების ზრდის გამო. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალები ასევე აღნიშნავდნენ, გაზრდილი აუნაზღაურებელი შრომის ნეგატიურ გავლენას ეკონომიკურ საქმიანობაზე.

განსაკუთრებით გართულდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში (გამყოფი ხაზის ორივე მხარეს) მცხოვრები ხანდაზმულების უფლებრივი მდგომარეობა. კორონავირუსით გამონვეული შეზღუდვების გამო, ისინი, ხშირად, საარსებო წყაროს და აუცილებელი ზრუნვის მიღმა რჩებოდნენ. აღნიშნულ გამონვევას, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითმა სამთავრობო კომისიამ, მოწყვლადი ჯგუფებისთვის საკვები პროდუქტებისა და ჰიგიენური საშუალებების კალათების დარიგებით უპასუხა. ამასთან, ოკუპირებულ გალის რაიონში 2020 წლის ბოლოს გაჩენილ ხანძრებს, ასევე ცუდი გავლენა ჰქონდა მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.<sup>65</sup>

### 6.3 ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა;

კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებსა და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირება, შეტყობინება და ძალადობისგან თავის დაღწევა პანდემიამდეც გამოწვევას წარმოადგენდა<sup>66</sup>. ერთი მხრივ, ამას განაპირობებდა მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე, დაცვისა და დახმარების არსებულ მექანიზმებზე და მეორე მხრივ, კონფლიქტით დაზარალებული ქალების რთული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა.

<sup>65</sup> გალის რაიონში ხანძრით დაზარალებული მოსახლეობის მოლოდინები, თუ ჩაფერფლილი იმედები: საჭიროებები და რეაგირების სტრატეგიები”, ფონდი სოხუმი, 2021. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/3ceZJKG> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მარტს]

<sup>66</sup> ქალთა მიმართ ძალადობის კვლევა ზუგდიდისა და გალის კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაში, საქართველოს დახმარების კომიტეტი/GECCOR, 2018



სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო პანდემიის პერიოდში ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობაზე გაზრდილი რისკების საპასუხოდ, არ იყო სპეციფიურად მორგებული კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოების საჭიროებებზე. შედეგად, როგორც მოსალოდნელი იყო, პანდემიამ ერთი მხრივ, გაამწვავა ოჯახში ძალადობის კუთხით არსებული ვითარება და მეორე მხრივ, გაართულა ძალადობისგან თავის დაღწევა. პანდემიასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა განაპირობა მოძალადისა და მსხვერპლის ერთ სივრცეში იზოლირება.

პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებთან, ოკუპირებული აფხაზეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში, კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან და ამ საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას რომ პანდემიის პირველი ტალღის დროს, შემცირდა მიმართვიანობა სერვისებზე როგორც სახელმწიფო უწყებებში<sup>67</sup>, ისე სერვისის გამცემ არასამთავრობო ორგანიზაციებში, რაც შეზღუდვების მოხსნისთანავე შეიცვალა და მიმართვიანობის ინტენსივობა საგრძნობლად გაიზარდა.<sup>68</sup> თუმცა, გაზრდილი მიმართვიანობაც კი, სრულად არ ასახავს ძალადობის მასშტაბებს. ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტრო ცალკე არ აწარმოებს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის, მათ შორის, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებიდან შეტყობინებების აღრიცხვას, რაც ართულებს ამ მიმართულებით არსებული გამოწვევების ანალიზს.

რაც შეეხება ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას, ისინი აღნიშნავენ ოჯახში ძალადობის შემთხვევების მატებას, რეგიონში არსებული რთული ფსიქოლოგიური და სოციო-ეკონომიკური სიტუაციის ფონზე, თუმცა, აღნიშნული არ ასახულა გაზრდილ მიმართვიანობაში, რადგან მოქმედი მილიცია ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემისადმი მგრძნობიარე არ არის, ხოლო ადგილზე არ მუშაობენ საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა მუშაობაც შედარებით ამსუბუქებს სიტუაციას - ოკუპირებულ აფხაზეთში.

მიმართვიანობის შემთხვევაშიც კი, გამოწვევას წარმოადგენს:

- (ა) ძალადობის მსხვერპლთა ეკონომიკური გაძლიერება, რაც პრობლემას წარმოადგენდა პანდემიამდევ<sup>69</sup>, თუმცა, პანდემიამ ამ მხრივ მდგომარეობა მეტად გაართულა;
- (ბ) ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობისგან თავის დაღწევა ოკუპირებულ აფხაზეთში. ჩაკეტილი ერთადერთი ე.წ. გამშვები პუნქტის გამო, ოკუპირებულ გალის რაიონში მცხოვრები ქალები ზუგდიდში არსებული დაცვისა და დახმარების სერვისებით ვერ სარგებლობენ, ხოლო

<sup>67</sup> 2020 წელს გაზრდილია მიმართვიანობა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საკონსულტაციო ცხელ ხაზზე 116006 (1775 შეტყობინება 2020 წელს, 2019 წელს 1468 შეტყობინებასთან მიმართებით). სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2021 წლის 31 მარტის წერილი № 07/2580; 2019 წლის სტატისტიკა ონლაინ მისაწვდომია <https://bit.ly/3fyLnSz> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 31 მარტს].

<sup>68</sup> 6.92 პროცენტი-ით გაზრდილია შსს-ს მიერ გამოქვეყნებული ოჯახში ძალადობის სტატისტიკა (2019 წელთან მიმართებით) და ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ გაზრდილია მიმართვიანობა ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების კუთხით სერვისის გამცემი არასამთავრობო ორგანიზაციების ცნობით სამეგრელო-ზემო სვანეთისა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე.

<sup>69</sup> ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველი, 2020. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/2Mt5y8C> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 21 თებერვალს]





ოკუპირებულ აფხაზეთში არ არსებობს ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები, (არსებობს მხოლოდ კრიზისული ცენტრები და არასამთავრობო ორგანიზაციების ცხელი ხაზი) რაც, ართულებს ძალადობისგან თავის დაღწევას.

(გ) ძალადობის მსხვერპლთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავენ კონფლიქტით დაზარალებულ ქალებსა და გოგოებზე მიმართული ინტერსექციური და საჭიროებებზე მორგებული განგრძობითი ფსიქოლოგიური სერვისების აუცილებლობაზე, რადგან, კორონავირუსმა განსაკუთრებით ნეგატიური გავლენა მოახდინა ამ ჯგუფის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

პანდემიის გამო, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებსაც ჰქონდათ მსგავსი მომსახურება, შეუძლებელი აღმოჩნდა მოძალადებთან ძალადობრივი ქცევის კორექციის საკითხზე მუშაობა, რაც გრძელვადიან პერიოდში უარყოფითად აისახება კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოების მდგომარეობაზე.

### **6.3.1 პანდემიასთან დაკავშირებული ოჯახში და ქალის მიმართ ძალადობის ფორმები**

პანდემიის პერიოდში ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის გაზრდილი რისკები ასევე გამოიხატა ფსიქოლოგიური ძალადობის სპეციფიური ფორმების გაჩენაში, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული COVID-19 ის პანდემიასა და მასთან დაკავშირებულ შეზღუდვებთან. კერძოდ:

კონფლიქტით დაზარალებული ქალები საუბრობდნენ ოჯახის წევრების მხრიდან ფსიქოლოგიურ ძალადობაზე, რომელიც გამოიხატებოდა ექიმის და ტესტირების სერვისების მისაწვდომობის შეზღუდვაში, რადგან, სავარაუდო დადასტურების შემთხვევაში, ერთი მხრივ, ოჯახი გახდებოდა კორონავირუსთან დაკავშირებული სტიგმის მსხვერპლი, და მეორე მხრივ, სავალდებულო იზოლაციის გამო ოჯახის სხვა წევრები, რომლებიც დასაქმებული იყვნენ არაფორმალურ ეკონომიკაში, დამოკიდებულნი იყვნენ დღიურ გამომუშავებაზე ან/და დასაქმებულნი იყვნენ სერვისის სფეროში - დაკარგავდნენ შემოსავალს. ამის გამო, ოჯახის მამაკაცი წევრები, როგორც გადაწყვეტილების მიმღებები, უკრძალავდნენ ქალებსა და გოგოებს ჯანდაცვის სერვისით სარგებლობას და ტესტირებას, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ოჯახის რომელიმე წევრს დადასტურებულად ჰქონდა კავშირი ინფიცირებულთან ან/და ჰქონდა კორონავირუსის აშკარა სიმპტომები.

ამასთან, ფოკუს-ჯგუფებისა და ჩადრმავებული ინტერვიუების საშუალებით გამოვლინდა, რომ, თუ დასაქმებული ქალი გახდებოდა ვირუსის პირველწყარო ოჯახის სხვა წევრებისთვის, მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა ხდებოდა გენდერული ნიშნით. ოჯახის წევრები მას ახსენებდნენ, რომ ქალის ადგილი არის სახლში, ხოლო მუშაობა და საჯარო სივრცეებში ყოფნა, არის მის როლთან შეუთავსებელი („შენ რომ გარეთ არ გასულიყავი, რომ არ გემუშავა, არ შემოგვიტანდი კოვიდს სახლში“).



## 6.4 ინფორმირებულობა და მისაწვდომობა საჯარო სერვისებზე

კორონავირუსთან, მისი პრევენციის საშუალებებთან და გამკლავების ღონისძიებებთან დაკავშირებით, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობა სათანადოდ ინფორმირებული არ არის, რაც ხელს უწყობს მითების გავრცელებას ვირუსთან, მისი გავრცელების გზებსა და თვითმკურნალობის მეთოდებთან დაკავშირებით.

განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს, დევნილი ქალებისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქალების ინფორმირებულობა. ინფორმაცია შედარებით მისაწვდომია ახალგაზრდებისთვის, რადგან მათ წვდომა აქვთ ინტერნეტზე. ხოლო შუახანს გადაცილებულ მოსახლეობას არ აქვს ვირუსის, მისი გავრცელების, ან მასთან გამკლავების საშუალებების შესახებ ინფორმაცია. რაც შეეხება პანდემიასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს, შეზღუდვებთან დაკავშირებით მოსახლეობას ინფორმაცია ძირითადად ერთმანეთისგან აქვს. გალში, ხალხს ინფორმაციას შეზღუდვების შესახებ, ძირითადად, სკოლა და მედპუნქტი აწვდის, ხოლო როცა სკოლა და მედპუნქტი დახურულია, ინფორმაციის გარკვეული ვაკუუმი იქმნება.

ინტერნეტზე წვდომა, როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ისე გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, პრობლემას წარმოადგენს, უხარისხო ინტერნეტისა და ფინანსური მიუწვდომლობის გამო. აღნიშნული, ასევე, ართულებს განათლების ხელმისაწვდომობას.

საკვებსა და მედიკამენტებზე მისაწვდომობა პრობლემას წარმოადგენდა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებსა და ოკუპირებულ რეგიონებში. განსაკუთრებით პრობლემურია, ამ მხრივ, მდგომარეობა ოკუპირებულ ახალგორში, სადაც არსებული ჰუმანიტარული კრიზისი პანდემიამ კიდევ უფრო გაამწვავა<sup>70</sup> და გალში, სადაც ძირითადი საკვები პროდუქტი, ტანსაცმელი და მედიკამენტები საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან შედიოდა, თუმცა, ე.წ. გამშვები პუნქტების ჩაკეტვის შემდეგ, შეიქმნა დეფიციტი საბაზისო პროდუქტებზე და მათი ფასები გაძვირდა ტრანსპორტირების გაზრდილი ხარჯების გამო. ეს განსაკუთრებით მძიმედ აისახა ხანდაზმულ, სოციალურად დაუცველ და ღარიბ მოსახლეობაზე.

დევნილთა კომპაქტური დასახლების უმეტეს ადგილას და ოკუპირებული გალის რაიონის უმეტეს სოფლებში ასევე პრობლემაა სუფთა, სასმელ წყალზე მისაწვდომობა. ვინაიდან ოჯახის წევრების სისუფთავეზე, საკვებითა და სასმელი წყლით უზრუნველყოფაზე ძირითადად ქალები არიან პასუხისმგებელნი, მათ უხდებათ წყლის წყაროებიდან მოზიდვა. აღნიშნული ასევე დაკავშირებულია ვირუსის გადადების გაზრდილ რისკთან, რადგან ქალებს უწევთ წყლის რიგში დგომა, სადაც, ხშირად, არ არის დაცული შესაბამისი რეკომენდაციები (დისტანცია, პირბადის ტარება და ა.შ.).

მისაწვდომობის ყველაზე დიდ ბარიერად მობილობის შეზღუდვა სახელდება.<sup>71</sup> ეს განსაკუთრებით ცუდად აისახება ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მაცხოვრებელ

<sup>70</sup> ოკუპირებულ ახალგორში, მიუხედავად ჰუმანიტარული კრიზისისა, დე-ფაქტო ხელისუფლებამ ქართული წარწერის მქონე მედიკამენტების კი ამოიღო სააფთიაქო ქსელიდან.

<sup>71</sup> მობილობის შეზღუდვის ერთ-ერთი ასპექტია გადასასვლელი პუნქტების ჩაკეტვა. ენგურის ხიდზე გადასვლა პანდემიის პერიოდში შეეძლო მხოლოდ ენგურ-პესის თანამშრომლებს. სხვა გადასასვლლებზე გადასვლა შეუძლებელი იყო მათი რთული მისადგომობის გამო. ენგურის ხიდზე არსებული გადასასვლელი პუნქტი ჩაიკეტა მაშინვე, როცა საქართველოში დაფიქსირდა პირველი კოვიდ-ინფიცირებული პაციენტი და გაიხსნა, ჯერ 16 ოქტომბერს მხოლოდ პენსიონრებისთვის და შემდეგ, 11 თებერვალს (5 დღიანი კარანტინის პირობით). რაც შეეხება პერევის გადასასვლელის ჩაკეტვას, აღნიშნული არ იყო დამოკიდებული პანდემიაზე და პოლიტიკურ მიზეზებს უკავშირდება. შედეგად, ნაკლებად მოსალოდნელია მისი გახსნა პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების შემსუბუქების შემთხვევაშიც კი.



ქალებსა და გოგოებზე, ე.წ. გადასასვლელი პუნქტების ჩაკეტვისა და მუნიციპალური ტრანსპორტის შეზღუდვის გამო, რადგან ამ სოფლებში, უმეტესწილად, არ არსებობს გამართული ინფრასტრუქტურა და მაცხოვრებლებს სხვადასხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის მომსახურების მისაღებად, რაიონულ ცენტრებში უნვეთ გადაადგილება. აღნიშნული შეზღუდვის შედეგად, სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები, რომლებიც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოდიოდნენ სასწავლებლად, სწავლების პროცესის მიღმა დარჩნენ, ხოლო ის სტუდენტები, რომლებიც 2020 წლის სექტემბერში, ორმხრივი ჩართულობის შედეგად იქნენ გადმოყვანილი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე სწავლის გასაგრძელებლად, მობილობის შეზღუდვისა და ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, სწავლის გაგრძელებისა და საცხოვრებლის პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ.<sup>72</sup>

### **6.5 მისაწვდომობა ჯანდაცვის სერვისებზე, მათ შორის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე;**

ჯანდაცვის სერვისებზე შეზღუდული მისაწვდომობა პანდემიის პერიოდში, კონფლიქტით დაზარალებული ქალების მთავარ პრობლემად შეიძლება დავასახელოთ. კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ, თითქმის არარსებული ფიზიკური ინფრასტრუქტურისა და დატვირთული მენტალური მემკვიდრეობის გამო, კონფლიქტით დაზარალებულ ქალებს უფრო უჭირთ ისეთ მოვლენებთან გამკლავება, როგორცაა პანდემია. ქალები, რომლებმაც გადაიტანეს ახალი კორონავირუსი, ან რომლებმაც ვირუსის გამო დაკარგეს ახლობელი ადამიანები აცხადებენ, რომ ამ მოვლენებმა მათ განუახლა ის შიშები და დაუცველობის განცდა, რაც ისედაც ჰქონდათ კონფლიქტის შედეგად.

კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის, უმეტესწილად, პრობლემას წარმოადგენდა ჯანდაცვის სერვისებზე, ბაზისურ მედიკამენტებსა და კონტრაცეფციულ მისაწვდომობა, ერთი მხრივ, ადგილზე სერვისების არარსებობის, ხოლო მეორე მხრივ, რეგიონულ ცენტრებში სერვისების მიღების ფინანსური შესაძლებლობის არ არსებობის გამო.

საქართველოს სახელმწიფომ პანდემიის დაწყებისთანავე მიმართა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომ დახმარებოდნენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას. ოფიციალური პოზიცია იყო, რომ საქართველო არ ჩაკეტავდა საზღვარს და არ შეუშლიდა ხელს მიმოსვლას<sup>73</sup>. 2020 წლის განმავლობაში, ორივე ოკუპირებული რეგიონიდან, სულ, გადმოყვანილ იქნა 892 პაციენტი. აქედან 256 კოვიდ ინფიცირებული ოკუპირებული აფხაზეთიდან და 24 - ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან.<sup>74</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით შეძლო აფხაზი ხალხისთვის, პანდემიის პერიოდში დახმარების აღმოჩენა, ოკუპირებულ ცხინვალში მსგავსი შესაძლებლობა არ ყოფილა. მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობისა და ხელოვნური იზოლაციის პირობებში, პანდემიის დროს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა განსაკუთრებული საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. საქართველოს ხელისუფლებამ, კორონავირუსის გავრცელების პირ-

<sup>72</sup> გალელი სტუდენტები თბილისში ბინის ქირას ვედარ იხდიან, ნეტგაზეთი, 2020. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/3aT559d> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 21 თებერვალს].  
<sup>73</sup> ანა დუმბაძე, “საქართველოს პრეზიდენტი მადლობას უხდის WHO-ს აფხაზი ხალხის დახმარებისათვის” Georgia Today, 2020  
<sup>74</sup> შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2021 წლის 29 იანვრის N78-1-2-202101291750 წერილი.

ველივე დღეებიდან, სრული მზადყოფნა გამოხატა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების დასახმარებლად.

საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გამოხატული მზაობის მიუხედავად, განსხვავებული აღმორჩნდა დე-ფაქტო ხელისუფლებების პოზიცია ამ დახმარების მიღებაზე. ოკუპირებული აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ პანდემიის დაწყებისთანავე, თავად გამოთქვა ინტერესი, საქართველოსგან, საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით, მიეღო დახმარება. ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეჟიმი კატეგორიულ უარს აცხადებს, რომ საქართველოს კონტროლირებული ტერიტორიიდან მიიღოს დახმარება.

მისასალმებელია, რომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოყვანილი, კორონავირუსით დაავადებული პაციენტების მკურნალობა, კრიზისულ პერიოდშიც კი, არ ყოფილა გამოწვევა. ამის მიუხედავად, ე.წ. ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებს, პირდაპირ შეეხო ჯანდაცვის კრიზისი, კერძოდ, იქ მაცხოვრებელი ქალებისთვის არ იყო ხელმისაწვდომი სათანადოდ აღჭურვილი ამბულატორია, ექიმის კონსულტაცია და ლაბორატორიის მომსახურება. კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევების დროს, პაციენტებთან არ მიდიოდა სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი (ვირუსის გადადების რისკის გამო) და მობილობის შეზღუდვისა და საწოლფონდის ლიმიტის გამო, პრობლემა იყო რთული მდგომარეობის მქონე პაციენტების გადაყვანა საავადმყოფოში.

აღნიშნული ნაწილობრივ გამოწვეულია იმით, რომ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის ჯანდაცვის სერვისების მიწოდების კუთხით, რაიმე განსაკუთრებული მიდგომა სახელმწიფოს არ აქვს, მათ სერვისები ისევე მიეწოდებათ, როგორც საქართველოს სხვა ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, რაც წარმოადგენს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების აშკარა უგულებელყოფას.

რაც შეეხება ჯანდაცვის სხვა სერვისებს, ოკუპირებული ცხინვალისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე პანდემიის პირობებშიც კი, შეუფერხებლად მიმდინარეობდა ბავშვთა ვაქცინაცია. ოკუპირებულ აფხაზეთში დიდ პრობლემას წარმოადგენდა რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მომსახურების მიღება. კერძოდ, რთული ორსულობისა და გართულებული მშობიარობის რისკის მქონე პაციენტებისთვის შეზღუდული იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაადგილება, რაც ხშირად სრულდებოდა იმით, რომ გართულებული მშობიარობის შემთხვევაში, ჩვილი, ჯანმრთელობის საჭიროების გამო გადაჰყავდათ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, მაშინ, როდესაც დედა ხშირად ოკუპირებულ აფხაზეთში რჩებოდა. აღნიშნული ძალიან ცუდად აისახებოდა როგორც ახალშობილის, ისე დედის ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე.

ოკუპირებულ აფხაზეთში, ასევე პრობლემას წარმოადგენდა ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის სერვისის მიღება. აღნიშნული სერვისის მიღება, პანდემიამდე, შესაძლებელი იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ხოლო ერთადერთი, ე.წ. გამშვები პუნქტის ჩაკეტვის შემდეგ კი, ქალებს ორსულობის შეწყვეტა კუსტარულად დამზადებული საშუალებებით უხდებოდათ, რაც ქალის ჯანმრთელობაზე ნეგატიურად აისახება („ერთადერთი თუ სისხლდენით მივიდა ქალი მხოლოდ მაშინ აცილებენ მას ნაყოფს“). მედიკამენტოზური აბორტი ასევე მიუწვდომელია და შესაძლებელია ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის მაპროვოცირებელი მედიკამენტის - მხოლოდ „ნაცნობობით შოვნა“.





## 7. დასკვნა და რეკომენდაციები<sup>75</sup>

კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის საპასუხოდ, ქვეყნებმა, გლობალურად, პანდემიის დაწყებიდან 2020 წლის 1 დეკემბრამდე 2517 საპასუხო პოლიტიკის დოკუმენტი შეიმუშავეს, საიდანაც 992 შეფასდა როგორც გენდერულად მგრძობიარე, რომლის ყველაზე დიდი ნაწილი (70 პროცენტი) ეხება გაზრდილი გენდერული ძალადობის რისკებს<sup>76</sup>.

რაც შეეხება საქართველოს მიერ, კორონავირუსით გამოწვეული პრობლემების საპასუხოდ დაგეგმილ პოლიტიკას, პანდემიის დაწყებიდან 2020 წლის 1 დეკემბრამდე, ქვეყანამ, სულ 26 პოლიტიკის დოკუმენტი შეიმუშავა, საიდანაც მხოლოდ 7 (26 პროცენტი) შეფასდა, როგორც გენდერულად მგრძობიარე. ამ 7 პოლიტიკის დოკუმენტიდან, 4 ეხება ქალთა მიმართ ძალადობის რისკებს და 3 პასუხობს ქალთა ეკონომიკურ დაცულობას. სამწუხაროდ, არც ერთი პოლიტიკის დოკუმენტი არ არის მიმართული ზრუნვის გაზრდილი ტვირთის შემცირებისაკენ. ამასთან, არც ერთი გენდერულად სენსიტიური პოლიტიკის დოკუმენტი, სპეციალურად არ გამოყოფს კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოების საჭიროებებს.

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ მნიშვნელოვანია, ქვეყნებმა დაიწყონ კრიზისის საპასუხო პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება იმის მიუხედავად, თუ რამდენ ხანს გასტანს პანდემია. ამასთან აუცილებელია, რომ კონფლიქტით დაზარალებული ქალები აქტიურად იყვნენ პოლიტიკის შემუშავების პროცესში ჩართული და მათთვის გენდერულად სპეციფიური საჭიროებები და პერსპექტივა გათვალისწინებული იყოს ყველა მიღებულ გადაწყვეტილებაში.

ასევე, კრიზისები და კრიზისების მართვა არის ქალების მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ნაწილი და მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ არ მოახდინოს მისი დეპრიორიტეტიზაცია. მეტიც, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ და საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციებმა, სწორედ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის მეშვეობით გასცენ პასუხი COVID-19-ის პანდემიას.

ამასთან, კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების როლი პანდემიასთან გამკლავების პროცესში. კერძოდ, მნიშვნელოვანია, პრიორიტეტად განისაზღვროს კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში, ქალი უფლებადამცველებისა და ქალთა ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარება და ხელშეწყობა<sup>77</sup>. კვლევის მიგნებები ცხადყოფს, რომ, აუცილებელია, საერთაშორისო ორგანიზაციებმა უზრუნველყონ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების, ასევე კონფლიქტით დაზარალებული ქალების აღჭურვა ჩართულობისათვის საკმარისი რესურსებით, რათა, მათ, შესაძლებლობის გაჩენისთანავე, პრაქტიკული და ფინანსური პრობლემების გარეშე, სახელმწიფოსთან თანამშრომლობით შეძლონ მოლაპარაკებებში ჩართვა და გაააქტიურონ საქმიანობა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ჩარჩო ფორმატში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

<sup>75</sup> რეკომენდაციების ნაწილი ეყრდნობა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/3lBuztL> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს]  
<sup>76</sup> COVID 19-ის საპასუხო ღონისძიებების გლობალური გენდერული შეფასება, 2020. გაეროს განვითარების პროგრამისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი ონლაინ პლატფორმა: <https://data.undp.org/gendertracker/>  
<sup>77</sup> ქალების, მშვიდობისა და ჰუმანიტარული ფონდის კვლევით დადგენილია, რომ სამოქალაქო ორგანიზაციების 30 პროცენტი საქმიანობის შეჩერების რისკის ქვეშ არის კორონავირუსით გამოწვეული გავლენების გამო. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი კორონავირუსით გამოწვეულ კონტექსტში დასავლეთ და ცენტრალურ აფრიკის ქვეყნებში, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2020. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/36z0l9t> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს].



## რეკომენდაციები

### საქართველოს მთავრობას, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიას:

- მოხდეს აქტიური ადვოკატირება, რათა პასუხისმგებელმა უწყებებმა აღიქვან კონფლიქტით დაზარალებული ქალები მოწყვლად ჯგუფად, რომელსაც სპეციალური, მაგრამ მრავალმხრივი და განსხვავებული საჭიროებები გააჩნია და შეიმუშაონ ამ საჭიროებებზე მორგებული ინტერსექციური პოლიტიკა.
- ფართომასშტაბიანი და წარმომადგენლობითი კვლევის წარმოების შედეგად, შესწავლილ იქნას კონფლიქტით დაზარალებული ქალების საჭიროებები კონკრეტული პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში (განსაკუთრებით, ეკონომიკური, სოციალური და უსაფრთხოების პოლიტიკასთან მიმართებით) და დივერსიფიცირდეს მიდგომები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მრავალმხრივი ჩართულობა და მისაწვდომობა.
- შესწავლილ იქნას, როგორი გავლენა მოახდინა პანდემიამ ძალადობის გამოვლენისა და იდენტიფიკაციის მაჩვენებელზე, მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ) კორონავირუსით გამოწვეული შეზღუდვებისა და ბარიერების გავლენების გამო და დაგეგმილ იქნას საპასუხო ღონისძიებები, რათა შენარჩუნდეს ქვეყანაში არსებული პოზიტიური ტენდენცია ძალადობის გამოვლენისა და იდენტიფიკაციის კუთხით.<sup>78</sup>
- მოხდეს ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების კორონავირუსის კონტექსტზე მორგება და სამოქმედო გეგმების განხორციელების განუხრელი გაგრძელება, კერძოდ, დროულად დაიწყოს, კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და პასუხისმგებელი უწყებების ჩართულობით, მუშაობა ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, რომელიც, მათ შორის უპასუხებს კორონავირუსის პანდემიის შედეგად გაჩენილ ახალ გამოწვევებს და სრულად გამოიყენებს შექმნილ შესაძლებლობებს;
- დაიგეგმოს და განხორციელდეს, კომპაქტურ ჩასახლებებში, ოკუპირებულ ტერიტორიებსა და ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალებისთვის სპეციალურად გამიზნული, გენდერული ძალადობის პრევენციის კამპანია.<sup>79</sup>
- კომპაქტურ ჩასახლებებში, ოკუპირებულ ტერიტორიებსა და ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალებისთვის უზრუნველოფილ იქნას რეპროდუქციული ჯანმრთელობის ბაზისური სერვისებისა და პროდუქტების ხელმისაწვდომობა.

<sup>78</sup> ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შეტყობინებების რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 70 ქვეყანაში, სხვდსხვა გეოგრაფიულ რეგიონში. ამ შეტყობინებების ანალოგი გვაჩვენებს, რომ გაიზარდა გენდერული ძალადობა კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სივრცეებშიც. მაგალითად, პალესტინაში, ქალთა იურიდიული დახმარების ცენტრის 75 პროცენტით გაეზარდა შეტყობინებები პანდემიის დაწყებიდან დღემდე, ძირითადად, ქალაქის ტიპის დასახლებებიდან, მაგრამ ასევე სოფლად მცხოვრები ქალებისგან და მიგრანტების დროებითი საცხოვრებელი ადგილებიდან. მნიშვნელოვანია, შესწავლილ იქნას, როგორია ძალადობის გამოვლენისა და იდენტიფიკაციის მაჩვენებელი კორონავირუსით გამოწვეული შეზღუდვებისა და ბარიერების გავლენების გამო და დაგეგმილ იქნას საპასუხო ღონისძიებები. Majumdar, S., Wood, G., COVID-19 ის გავლენა ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობაზე, სამოქალაქო საზოგადოებისა და ქალთა ორგანიზაციების გამოცდილება, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2020. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/36AGS53> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს]

<sup>79</sup> ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი კორონავირუსით გამოწვეულ კონტექსტში დასავლეთ და ცენტრალურ აფრიკის ქვეყნებში, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2020. ონლაინ მისაწვდომია: <https://bit.ly/36z9l9t> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს].

- გაძლიერდეს ადგილობრივ თვითმმართველობებთან მუშაობა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ჩარჩო-ფორმატში, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ეროვნული სამოქმედო გეგმის ლოკალიზაციის მიზნით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მუნიციპალიტეტებთან მუშაობის გაძლიერება, რომლებიც არ მიეკუთვნებიან გამყოფი ხაზის მიმდებარე მუნიციპალიტეტებს მაგრამ, ჰყავთ დევნილი მოსახლეობა.
- კორონავირუსით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის საპასუხოდ პოლიტიკის შემუშავებისას, გათვალისწინებულ იქნას, პანდემიის შედეგად, ქალთა გაზრდილი აუნაზღაურებელი შრომის ტვირთი და მისი შემსუბუქებისათვის განხორციელდეს კონკრეტული ქმედებები, ისეთი, როგორცაა ბაგა-ბალების მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ზრუნვის ტვირთის განაწილების ხელშემწყობი საინფორმაციო კამპანიის წარმოება და ა.შ.
- კორონავირუსით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის საპასუხო პოლიტიკის შემუშავებისას, გათვალისწინებულ იქნას, პანდემიის შედეგად, კონფლიქტით დაზარალებულ ქალთათვის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე, მათ შორის კონტრაცეფციის ყველა საშუალებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა და საპასუხოდ განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები.<sup>80</sup>

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს:**

- უზრუნველყოფილ იქნას კონფლიქტით დაზარალებული, განსაკუთრებით კი დევნილი ქალების სრულფასოვანი ჩართვა ამ პროცესებში. კერძოდ, მნიშვნელოვანია, რომ:
  - უზრუნველყოფილ იქნას კონფლიქტით დაზარალებული ქალების სამშვიდობო პროცესებში ჩართულობა საკმარისად ხანგრძლივად, რათა მათ შეძლონ კონსულტირება გაუნიონ, გაანალიზონ და წვლილი შეიტანონ სამშვიდობო ფორმატის რეკომენდაციებისა და თანხმობის მიღწევის პროცესში;
  - უზრუნველყონ კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის, ინფორმაციის წინასწარ მიწოდება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც განიხილება მოლაპარაკების მაგიდაზე, რათა მონაწილე ქალებმა ეფექტიანად შეძლონ მათი ჯგუფის ინტერესების წარმოჩენა;
  - მოხდეს კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების მუდმივი ინფორმირება, სამშვიდობო პროცესების მიმდინარეობასთან დაკავშირებით და მოეწყოს შეხვედრები ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

<sup>80</sup> გაეროს მოსახლეობის ფონდის კვლევით დადგენილია, რომ გლობალურად, COVID-19 ის პანდემიის გამო 47 მილიონზე მეტ ქალს დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებიდან არ ექნება წვდომა თანამედროვე კონტრაცეპტივებზე და 7 მილიონამდე გაიზრდება უმეტესაღყურეთ ორსულობისა და მშობიარობის რისკები, თუ შეზღუდვები 6 თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა და ჯანდაცვის სისტემამ მწვავე კრიზისის ფონზე გააგრძელა მუშაობა. COVID-19 ის პანდემიის გავლენა ოჯახის დაგეგმვისა და გენდერულ ძალადობასთან ბრძოლაზე, გენიტალიების დასახიჩრებასა და ადრეულ ასაკში ქორწინებაზე, UNFPA, 2020. ონლაინ მისაწვდომია:<https://bit.ly/3IE58aM> [ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 მაისს].

